ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რატომ გადასცა მთავრობამ მსახიობ ბესო ბერულაშვილს თბილისში ბინა 1 ლარად



გვ.6

## 23 სექტემბრიდან

ილია ჭავჭავაძე

### კაცია-ადამიანი?!

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი




პარასკევი, 23 სექტემბერი, 2016 №226 (7152) ფასი: 50 თეთრი

# ბიძინა ივანიშვილი: „ღარიბაშვილს დაბრუნებაში ხელს არაფერი შეუშლის“



გვ.2

„ნაციონალებმა რევოლუციაზე ფიქრს თავი უნდა დაანებონ“







## ირაკლი სესიაშვილი: „უსუფაშვილს გული სწყდება, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ არის“



გვ.3



## სოსო შატბერაშვილი: „არეულობას არჩევნების ღამესვე ვვარაუდობ“




გვ.5

## გია ცაგარეიშვილი: „უსუფაშვილს თუ გამბედაობა ჰყოფნიდა, აღშფოთება კოალიციაში უნდა გამოეხატა“



გვ.2

„26 მაისის საქმეზე კიდევ ბევრი სკანდალური ვიდეო არსებობს“

## კარლო კოპალიანი: „ხელებშეკრული, დასისხლიანებული ხალხის გორაზე მისროლეს“



გვ.4

ISSN 1987-9385



## თინა ხიდაშელი: „ალასანიამ თავისი პარტიის წევრებს მიხედოს“




გვ.2

მამუკა ახვლედიანი:

### „თქვენს კარზეც დააკაკუნებენ“

გვ.5



გვ.6



### გიგი წერეთელი: „ქართულ ოცნებას“ მაგრად უჭირს“

## რატომ დაუყადაღა სასამართლომ ბინა 84 წლის უსინათლო ვართანეუშ ჩინარიანს

გვ.6



ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ბიძინა ივანიშვილი: „ღარიბაშვილს დაბრუნებაში ხელს არაფერი შეუშლის“

## „ნაციონალებმა რევოლუციაზე ფიქრს თავი უნდა დაანებონ“

შორენა მარსაგიშვილი

ბიძინა ივანიშვილი რეგიონებში მოგზაურობას განაგრძობს.

ყოფილმა პრემიერმა გუშინ, 22 სექტემბერს, კახეთის გული, თელავი მოინახულა, სადაც მას აქცია დაახვედრეს. დიდი მცდელობის მიუხედავად, აქციის მონაწილეებმა პირველ მოქალაქესთან შეხვედრა ვერ მოახერხეს.

წინა შეხვედრების მსგავსად, ივანიშვილმა ბევრ რამეზე ისაუბრა და ბევრი ვინმე შემოეკრიტიკა. განკიცხულთა შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც აღმოჩნდნენ. ქვეყნის პირველმა მოქალაქემ სამოქალაქო სექტორი ხალხის გარყვნაში დაადანაშაულა.

– სამოქალაქო საზოგადოება მათ, უკაცრავად და გარყვნეს, ისეთი ხალხი შედის და ისეთ ნიშას იკავებენ, რომ ისეთი აგრესიული ნაციონალური მოძრაობის წევრებიც არ არიან, ძალიან ხშირად. ალბათ, „პაგონებიანმა“ გიგაურმა თქვა. იქ ფულზე რომ იყო საუბარი, გიგაურმაც მიიღო „პაგონები“ მაგ დროს – მე არ ვიცი ეს ჭორები, მაგრამ უწერენ მაგასაც. მე მესამე სექტორს კი არა, მესამე სექტორში თავშეფარებულ ხალხს ვაკრიტიკებ. ამ სექტორს ნუ აბინძურებენ, გამოვიდნენ და დაირქვან სახელი, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრები არიან, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ყოფილი პრემიერის გმობას ეკა გიგაური სოციალური ქსელის მეშვეობით გამოეხმაურა. ის იმედოვნებს, რომ დადგება დრო, როცა საქართველოში ოპონენტები პიროვნულ შეურაცხყოფას შეეშვებიან და დაპირისპირება მხოლოდ საქმიანი იქნება.



– ძალიან არ მინდა, ჩემი მისამართით ნათქვამ არაეთიკურ გამონათქვამებს პასუხი გავცე და ამაზე დიდი დრო დავხარჯო. პირველ რიგში, ამას ყველაფერს არასერიოზულად ვთვლი და, მეორე მხრივ, ჩვენს ორგანიზაციაში წინასაარჩევნო ციებ-ცხელებაა, ამიტომ დროის გამოძებნაც მიჭირს, ყველას ცალცალკე გიპასუხოთ. მინდა, მალე დადგეს საქართველოში დრო, როცა ოპონენტები პიროვნულ შეურაცხყოფას შეეშვებიან და „დაპირისპირება“ მხოლოდ საქმიანი იქნება, ასევე, ქვეყნის სამსახური და სამხედრო ან პოლიციის წოდება საქილიკო და სამარცხვინო არ იქნება, – წერს ეკა გიგაური სოციალურ ქსელში.

„ქართული ოცნების“ ქება-დიდებით გართულმა ივანიშვილმა პასუხი თინა ხიდაშელსაც გამოსტყუა. ხიდაშელი პოლემიკაში რესპუბლიკური პარტიის აუგად ხსენების გამო შევიდა.

ექსპერტების ნაწილი ვარაუდობს, რომ არჩევნების შემდეგ კოალიციური მთავრობა გვეყოლება. ივანიშვილს ამის გაფიქრებაც კი ზარავს და ასეთ განცხადებას აკეთებს:

– არ ვაპირებთ ბრძოლას იმისთვის, რომ მრავალპარტიული იყოს პარლამენტი ან ლეიბორისტებს შევუძღვეთ, ან რესპუბლიკელებს, ან იმ მომღერალ კაცს, ფოკუსებს რომ გვიტარებს პოლიტიკაში.

მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ კონკურენტი არ ჰყავს და არ აპირებს მრავალპარტიული პარლამენტისთვის ახალშექმნილ პარტიებთან ან ყოფილ თანაგუნდელებთან შეერთებას.

გაცეცხლებული ხიდაშელი პირობას დებს, რომ თავისი განცხადებების გამო ივანიშვილი აუცილებლად მოიხდის ბოდიშს. ყოფილ პრემიერს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლემ, გიგაურის მსგავსად, ფეისბუქით უპასუხა.

– 1. ჩვენ არ დაგვიწყია 2. შეურაცხყოფა არ მოგვიყენებია 3. ანუ „შეფასებები უკვე გავაკეთე“ არის პოზიცია: ადრე ბოდიშის მოხდა არ გიჭირდათ ხოლმე, სამწუხაროა. მე კი პირობას გაძლევთ, აუცილებლად მოიხდით ბოდიშს პატარა კაცისთვის, უღირსის და მსგავსი საძაგლობებისთვის, რომელიც იკადრეთ. 4. კითხვები არსებობსო –– დასვით, ბატონო ბიძინა, ოღონდ ვინმე უფრო გონიერს ჰკითხეთ რჩევა, ვიდრე იმას, ვინც საკონსტიტუციო კომისიაზე გირჩიათ, თორემ ისევ უკან დახევა მოგიწევთ, – წერს ხიდაშელი.




* * *

გმობა და წყევლა-კრულვა ივანიშვილმა არც ნაციონალებს დააკლო.

მთავარი მოქალაქის მტკიცებით, ერის დიდ აღშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყოფილი ხელისუფლება საზოგადოებას წესრიგისკენ მოუწოდებს.

– კრიმინალები გვასწავლიან წესრიგს და გვიკითხავენ მორალს. ესაა ის, რაც ხდებოდა ცხრა წლის განმავლობაში და ისევ ეს უნდათ, მოგვახვიონ თავს. არაა ჩვენი საზოგადოება ისეთი გამოთაყვანებული, რომ რასაც ესენი აკეთებდნენ ცხრა წლის მანძილზე, არ იყო რეალობა და არც დღეს მიიღებენ, – ამბობს ივანიშვილი.

ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებულ ვიდეომასალაზეც გამახვილა ყურადღება. საუბარია 26 მაისის დარბევის ახალ კადრებზე. ექსპრემიერი ამტკიცებს, რომ მათი გასაჯაროება მოახლოებული არჩევნების ხათრით არ მომხდარა.

– პროკურატურა და სასამართლო ანგარიშვალდებული არიან, ხალხს აცნობონ – აი, კრიმინალი დაისაჯა. და რა ვქნათ ახლა, რომ სასამართლო ამას დაემთხვა თუ დაველოდოთ, სანამ არჩევნები დასრულდება და მერე გამოვაქვეყნოთ? – განაცხადა მოქალაქემ.

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# გია ცაგარეიშვილი: „უსუფაშვილს თუ გამბედაობა ჰყოფნიდა, აღშფოთება კოალიციაში უნდა გამოეხატა“

– ადამიანს, როდესაც წამობრძანდება რომელიმე პარტიიდან ან გაერთიანებიდან, ამის შემდეგ კი არ უნდა გაუჩნდეს სურვილი ამგვარი განცხადებების კეთების, არამედ კოალიციაში ყოფნის დროს, – ასე გამოეხმაურა თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი გია ცაგარეიშვილი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის განცხადებას „ქართული ოცნებისა“ და ნაციონალური მოძრაობის მსგავსების შესახებ.

მისი თქმით, გაუგებარია კოალიციიდან წამოსვლის ერთი თვის თავზე ასეთი განცხადებების კეთება.

– ადამიანს, როდესაც წამობრძანდება რომელიმე პარტიიდან ან გაერთიანებიდან, ამის შემდეგ კი არ უნდა გაუჩნდეს სურვილი ამგვარი განცხადებების კეთების და მსგავსებების მოყვანის, არამედ თუ გამბედაობა ჰყოფნის, იქვე კოალიციაში, მმართველ პარტიასთან ერთად ყოფნის ჟამს უნდა გამოხატოს თავისი აღშფოთება და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რომ გამოსწორდეს ზოგად პოლიტიკური სიტუაცია ქვეყანაში.

ჩემთვის გაუგებარია, კოალიციიდან წამოსვლის და მინისტრთა პორტფელების დატოვების ერთი თვის თავზე რომ ადამიანებს უჩნდებათ დაუოკებელი სურვილი შეებრძოლონ ერთმანეთს მტრის გულის გასახარად. ეს ეხება როგორც რესპუბლიკურ პარტიას, ისე „ქართულ ოცნებას“. არცერთს არ ვუქებ ამ გაუთავებელ ჭორაობას, ურთიერთშეურაცხყოფასა და ლანძღვა-გინებას.

ვინ ვის ჰგავს, როგორ არ ჰგავს, რა შედეგი ექნება ამას საზოგადოებისთვის, არჩევნების შემდეგ გადაწყდება, – განაცხადა ცაგარეიშვილმა.



ინტერპრესნიუსი

# თინა ხიდაშელი: „ალასანიამ თავისი პარტიის წევრებს მიხედოს“

„სესიაშვილმა და ბესელიამ მიიღეს მესიჯები, იძახონ, რომ განათლება ცუდია“

თინა ხიდაშელი საპარლამენტო უმრავლესობის წევრების – ირაკლი სესიაშვილისა და ეკა ბესელიას განცხადებებს გამოეხმაურა.



ირაკლი სესიაშვილმა განაცხადა, რომ რესპუბლიკური პარტიის მხრიდან ბიძინა ივანიშვილთან მუდმივი პაექრობა არის ერთგვარი ამპარტავნობა, ხოლო ეკა ბესელიამ დავით უსუფაშვილი „პალიტრანიუსის“ ეთერში გაკეთებული განცხადების გამო გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ არ შეიძლება, მუდმივად აყვედრიდე თავს ქვეყანას, კოალიციას, კოლეგებს და მიგაჩნდეს, რომ ხარ ყველაზე ჭკვიანი.

– მას შემდეგ, რაც მათმა ლიდერმა განაცხადა, რომ განათლებით დამძიმებული თავი არის ცუდი, როგორც ჩანს, მესიჯი მიიღეს, იძახონ, რომ განათლება არის ცუდი.

მე ვფიქრობ, რომ ინტელექტი ეს არის ყველაზე დიდი ღირებულება რასაც ადამიანი მთელი ცხოვრება იღებს და თუ ინტელექტთან აქვთ პრობლემა, ეს უკვე ჩემი პრობლემა აღარ არის, ეს მათი პრობლემაა, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

რაც შეეხება თავისუფალი დემოკრატების მიერ დავით უსუფაშვილის კრიტიკას იმ განცხადების გამო, რომელიც უსუფაშვილმა „პალიტრანიუსის“ ეთერში გააკეთა, თინა ხიდაშელმა აღნიშნა, რომ თავისუფალ დემოკრატებს პასუხს არ გასცემს და ირაკლი ალასანიას პოზიციას ელოდება.

საუბარია დავით უსუფაშვილის განცხადებაზე, რომ ნაციონალური მოძრაობა და „ქართული ოცნება“ ერთმანეთს დაემსგავსნენ.

– მაინტერესებს, ალასანიას პოზიცია იგივეა თუ არა, რაც მისი პარტიის წევრებმა გააკეთეს. თუ არ არის, იქნებ მიხედოს თავისი პარტიის წევრებს, გაარკვიონ, ჩამოყალიბდნენ, რა პოზიცია აქვთ.

რაც შეეხება პოზიციას იმის შესახებ თუ ჩვენ რას ვაკეთებდით „ქართულ ოცნებაში“ ყოფნის დროს და მაშინ რატომ არ ისმოდა მსგავსი განცხადებები, მათგან განსხვავებით ჩვენ მუდმივად ვიღებდით გადაწყვეტილებებს.

მე გავახსენებ ირაკლი ალასანიას თავდაცვის სამინისტროში ჩემ მიერ სამსახურში აღდგენილ „კაბელების საქმის“ ბიჭებს და მან ძალიან კარგად იცის, როგორ იყო ჩემ მიერ ეს გადაწყვეტილება მიღებული და როგორი მხარდაჭერა მქონდა ამაზე „ქართული ოცნებიდან“. დანარჩენს რაც შეეხება, ბიძინა ივანიშვილმა უკვე თქვა, რომ ჩვენ ცუდი პარტნიორები ვიყავით ჩვენი კრიტიკული შეფასებების გამო, – განაცხადა თინა ხიდაშელმა.

მან დასძინა, რომ რესპუბლიკელებმა სწორედ თავიანთი კრიტიკით და მათ მიერ „ქართული ოცნებისთვის“ შექმნილი დისკომფორტის გამო დაიმსახურეს იმდენი შეურაცხყოფა, რაც მიიღეს.

ინტერპრესნიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ირაკლი სესიაშვილი: „უსუფაშვილს გული სწყდება, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ არის“

**ნათია ხურცილავა**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ირაკლი სესიაშვილი,** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის „ქართული ოცნების“ მიმართ გაკეთებულ პოლიტიკურ განცხადებებს აფასებს.

***— ბატონო ირაკლი, დავით უსუფაშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა გაჭრილი ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს შედარება 2004 წლის მოვლენების კონტექსტში გააკეთა, როდესაც ნაციონალურმა მოძრაობამ პარტნიორებზე უარი თქვა და ცალკე აღმოჩნდა. როგორი მოსასმენი იყო ეს შედარება ყოფილი პარტნიორისგან?***

— ეს იყო შავი პიარის მცდელობა დავით უსუფაშვილის მხრიდან. სწორედ ამას ცდილობს ნაციონალური მოძრაობაც, რომ რაღაცნაირად ჩვენთან პარალელი გაავლოს, მაგრამ ამ უსუსურმა მცდელობამ ფიასკო განიცადა. დავით უსუფაშვილს გული სწყდება, რომ „ქართულ ოცნებასთან“ არ არის და მისი ამგვარი შეფასებების მთელი ქვეტექსტი სწორედ ეს არის. ერთი ქართული ანდაზა მახსენდება: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“.

მიუხედავად იმისა, რომ მე ბატონ დავითს დიდ პატივს ვცემ და ვთვლი, რომ ერთ-ერთი გამორჩეული პოლიტიკოსია, სამწუხაროდ, რესპუბლიკურმა პარტიამ კოალიციის ფარგლებში ვერ შეძლო ელემენტარული კოლეგიალობის დაცვა, თუმცა, გულწრფელად გეტყვით, რომ ჩვენი პარტიის ზოგიერთი წევრისგანაც იყო არცთუ სახარბიელო დამოკიდებულება. დღეს არჩევნებზე „ქართული ოცნება“ დამოუკიდებლად რომ გადის, ეს გამოწვეულია იმ პოზიციებიდან, რომლებიც ჰქონდათ ჩვენს ყოფილ პარტნიორებს.

***— რა პოზიციებზე საუბრობთ და ვის გულისხმობთ?***

— ვგულისხმობ ალასანიას, რესპუბლიკელებს, თუნდაც ფორუმსა და სხვებს. ჩვენს რიგებში არიან დარჩენილი ძიძიგური, გაჩეჩილაძე, ჟორჟოლიანი. მრეწველებთან დაკავშირებით მიზეზი საერთაშორისო ურთიერთობებში განსხვავებული დამოკიდებულება იყო.

***— რა ნიშნით დარჩნენ ეს ადამიანები, რომლებიც არიან თქვენს პარტიულ სიაში?***

— ბევრი მათგანი „ქართულ ოცნებაში“ წარმოდგენილი იყო არა პარტიულად, არამედ პიროვნულად. ყველას თავისი ადგილი ჰქონდა როგორც პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე კოალიციურ მმართველობაში. ჩვენ თანამშრომლობას ვაგრძელებთ ყოველგვარი კითხვის ნიშნის გარეშე.



***— თუმცა გაჩეჩილაძესთან დაკავშირებით არის კითხვის ნიშნები, თითქოს მან დატოვა გუნდი, შემდეგ ისევ აღმოჩნდა სიაში. რატომ?***

— პრინციპული რღვევა არ ყოფილა. შეიძლება, ვიღაცას რაღაც ეტაპზე გასჩენოდა პოლიტიკური ამბიცია ჩვენი გუნდის შიგნითაც, მაგრამ ეს გადაილახა. შეუცდომელი არავინ არის. მთავარია, სწორი ანალიზი მოხდეს და შემდეგ ეს ქმედებით გამოიხატოს. ეს ცუდი არ არის.

***— რესპუბლიკურ პარტიას დავუბრუნდეთ.***

— რაც შეეხება რესპუბლიკელებს, შიგნით გვიწევდა მუდმივი ჭიდაობა. არასდროს ვარ წინააღმდეგი გუნდის შიგნით დისკუსიის, კამათის, აზრთა სხვადასხვაობის, პირიქით, მომხრე ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში რესპუბლიკური პარტია ვიწროპარტიული ინტერესების დაკავებას ცდილობდა.

***— მაგალითად?***

— მაგალითად, დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ პროდასავლური არჩევანის გარანტი არის რესპუბლიკური პარტია. ეს იყო პირდაპირი შეურაცხყოფა მთავრობის, პრემიერ-მინისტრის, თითოეული ჩვენგანის, თუნდაც ჩვენი ამომრჩევლის. პირადად ვიგრძენი თავი შეურაცხყოფილად, რადგან არ ვთვლი, რომ დავით ბერძენიშვილზე ნაკლებად მინდა ჩემი ქვეყნისთვის ევროპული პერსპექტივები. ამდენად, ვიწროპარტიული თუ პოლიტიკური ინტერესები ჭარბობდა ჯანსაღ, კონკურენტულ პროცესში გადაწყვეტილების მიღებისას.

დღეს უსუფაშვილს თუ სურს, „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალებს შორის პარალელი გაავლოს, ამით ვერაფერს იხეირებს და ვერც „ოცნებას“ დააკლებს რამეს. ყველამ კარგად ვიცით, ვის რა რეიტინგი აქვს ამ ქვეყანაში. „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ მოძრაობას შორის იმხელა ფუნდამენტური სხვაობაა, რომ ვერავინ შეძლებს ვერანაირი ტროსით, თოკითა თუ ძაფით ჩვენს ერთმანეთთან მიბმას. თუ ბატონი უსუფაშვილი საკუთარი პოლიტიკური პერსპექტივებით არის უკმაყოფილო, გამოსავალი თვითკრიტიკაშია.

***— ყველაზე მძაფრი კრიტიკით სწორედ თქვენი ყოფილი პარტნიორები გამოდიან. რა არის ამის რეალური მიზეზი, მხოლოდ ის, რომ კოალიცია დაიშალა? ვიღაცები ხომ რჩებიან.***

— ყველამ კარგად იცის — რომ არა ბიძინა ივანიშვილი, რა პერსპექტივები ელოდა ჩვენს ქვეყანას. ყოფნა-არყოფნის წინაშე ვიდექით. ასეთი იყო სამწუხარო რეალობა. ამ პოლიტიკოსების უმრავლესობა შეიძლება დღეს ციხეში ყოფილიყო ან ქვეყნიდან გაქცეული. ვისაც, მინიმუმ, მადლიერების განცდა არ აქვს და ამის გაცნობიერება არ შეუძლია, ის სწორ ანალიზს ვერ გააკეთებს, თუ რა არის ცალ-ცალკე ყოფნის მიზეზი. ჩვენ ყველა ქვეყნისთვის გავერთიანდით და არა — ვინმესთვის. შეიძლებოდა, ერთად გვევლო ერთ გზაზე, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ, როდესაც ვიწროპოლიტიკური ინტერესები ჭარბობს, მაშინ ეს შეუძლებელია.

***— ვიწროპოლიტიკურ ინტერესებში რას გულისხმობთ?***

— ჩემ მიერ დასახელებულ განცხადებას. მსგავსი განცხადება გააკეთა ირაკლი ალასანიამ, რომ პროდასავლურ კურსს ემუქრება საფრთხე, რაც გააგრძელა რესპუბლიკურმა პარტიამ. ფორუმი თავისი ეროვნული მიდგომებით თავის გამოკვეთას ცდილობდა და ა.შ. ზოგს თანამდებობა უნდოდა, ზოგს — მეტი წილი პოლიტიკურ ცხოვრებაში. ბევრი მათგანი იმაზე მეტად იყო დაკმაყოფილებული, ვიდრე ამის რესურსი ან პოლიტიკური შესაძლებლობები ჰქონდა.

ამ ფონზე „ქართულ ოცნებასაც“ აქვს თავისი ღირსება. არაფერი ცუდი არ მომხდარა, დასრულდა ერთი ეტაპი და იწყება მეორე. ჩვენი წინასაარჩევნო კამპანია ყველამ პოზიტივზე უნდა ავაგოთ და არა — ნეგატივზე, რადგან ნეგატივი ყველასთვის ცუდია. არა მგონია, ღირსეული საქციელი იყოს, რადგან ვერ ხედავ შენს პოლიტიკურ პერსპექტივას, ლანძღო შენი ყოფილი პარტნიორი.

***— ისევე, როგორც ივანიშვილის კრიტიკის მთავარი ობიექტი არის რესპუბლიკელები, უსუფაშვილისა და რესპუბლიკელების მთავარი კრიტიკის ობიექტი არის ბიძინა ივანიშვილი და არა — „ქართული ოცნება“. რატომ?***

— ესეც მიანიშნებ ჩვენ შორის არსებულ განსხვავებულ პოლიტიკურ კულტურაზე. ისინი ამბობენ, რომ ყველაზე ჭკვიანები და გამოცდილები მხოლოდ ისინი არიან, თუ რამე გაკეთებულა, მხოლოდ მათი დამსახურებაა. ეს ამპარტავნობაა. ჩვენ ამ ღირებულებებზე ვერ ვთანხმდებით. შეიძლება, ესეც იყო ერთგვარი ბიძგი, რომ ცალ-ცალკე აღმოვჩნდით.

ამას ყველაზე ვერ ვიტყვი. გულწრფელად გეტყვით, რომ რესპუბლიკურ პარტიაში არიან ადამიანები, რომელთა პოლიტიკური კულტურა ბევრთან შედარებით წინ არის და მათ დიდ პატივს ვცემ, თუმცა განცხადებები, რომელთა ავტორებიც არიან დავით ბერძენიშვილი, დავით ზურაბიშვილი, რომელიც, პირველ რიგში, რეალობას არის აცდენილი და შეურაცხგვყოფს, ცხადია, მიუღებელია.

***— ბატონო ირაკლი, თქვენი გზები შეიძლება ისევ გადაიკვეთოს, ისევ აღმოჩნდეთ პარტნიორები?***

— სადაც საჭირო იქნება ევროატლანტიკური მხარდაჭერა, იქ, დარწმუნებული ვარ, ერთიანნი ვიქნებით.

# ბიძინა ივანიშვილი: „ღარიბაშვილს დაბრუნებაში ხელს არაფერი შეუშლის“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

წარსულის გარდა, მან ყოფილ ხელისუფლებას აწმყოც დაუწუნა და საარჩევნო პროგრამაც გაუცამტვერა.

— 21 სექტემბერს ვარაზის ხევზე ავდიოდი და ვნახე, ერთად ხოშტარია და მელია რომ ჰპირდებიან ხალხს, ნახეთ, როგორი დახვეწილი აქვთ სიცრუის მანქანა და სიცრუის ტირაჟირება?— 50 ლარი რეალისტურია, 45.000 სამუშაო ადგილი გაუგებრობაა და მესამედ ეწერა ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაცია.

მე ამ ადამიანებზე არ მინდა ვთქვა, მაგრამ, ისინი რომ იმ პარტიის წევრები არიან, სადაც ძალიან ბევრი კრიმინალი იყო, ფაქტია, სიტუაციაც არ მინდა დავხატო და მკვეთრი ხაზები გავავალო. პოლიტიკური დანაშაულების დეკრიმინალიზაციას ჰპირდებიან საზოგადოებას და ჩნდება განცდა, რომ ვერ დაისაჯნენ და ეს იწვევს საზოგადოების აგრესიას, — აღნიშნა ვარაზისხევემოსახლემ ივანიშვილმა.

მისი თქმით, თუ საზოგადოება წინა ხელისუფლების დაუსჯელობის გამო მოქმედი ხელისუფლებისადმი აგრესიას გრძნობს, გაიხსენონ მსოფლიო ისტორია, სად დასჯილა ამდენი ადამიანი.



— ნიურნბერგის პროცესი, ვფიქრობ, არც უნდა შემდგარიყო. იმის მიზეზი, რომ საზოგადოებაში დარჩა უკმარისობისა და უკმაყოფილების გრძნობა, ჩემი აზრით, არა დასჯილთა რაოდენობაა, რომლებიც საკმარისად დაისაჯნენ, არამედ ის, რომ ნაციონალური მოძრაობა აგრძელებს თავისი მეთოდის შენარჩუნებას, — აღნიშნა პირველმა მოქალაქემ.

ის ნაციონალებს სთხოვს, რევოლუციაზე ფიქრი თავიდან ამოიგდონ. პირველი მოქალაქე შიშობს, რომ თუ ყოფილი ხელისუფლება რამეს გაბედავს, „ოცნება“ ხალხის შეკავებას ველარ შეძლებს.

— ის ხმები, რომლებიც მოდის, რომ ნაციონალები ფიქრობენ ისევ რევოლუციის მოხდენას და ამის რესურსი არ აქვთ, მე მოსახლეობას აქვე ვაწყნარებ. აქვე მივანიშნებ და მოსახლეობასაც შევახსენებ, თუ ისინი მართლაც გაბედავენ და სერიოზულ პროვოკაციას მოახერხებენ, შეიძლება, ის მიიღონ, რაც არ მომხდარა. შეიძლება, მოსახლეობას ჩვენ წინ ველარ დავუდგეთ და მოგვიწიოს მთლიანად ამ პარტიაზე საუბარი, რაც იქნება ძალიან ცუდი და ძალიან მძიმე. ცუდი იქნება ქვეყნის იმიჯისთვის და ძალიან მძიმე იქნება ნაციონალური მოძრაობისთვის, — ასეთია მისი პროგნოზი.

* * *

თელავში ვიზიტისას ივანიშვილს მხოლოდ ცუდზე არ უსაუბრია. მან მთავრობის მუშაობით კმაყოფილება გამოთქვა და თავისი საყვარელი მინისტრებიც დაასახელა.

— ბევრი საყვარელი მინისტრია — ქუმსიშვილი, სერგეენკო, თუგინდ კალაძე, დამრჩება ბევრი ჩამოუთვლელი და ნაწყენები დამრჩებიან, წულუკიანი, სუბარი იცავენ სტანდარტებს, ახალი მინისტრებიც ძალიან ეფექტურები არიან, — განაცხადა ივანიშვილმა.

მისი ქება ირაკლი ღარიბაშვილმაც დაიმსახურა. ივანიშვილი ამბობს, რომ მასთან ისევ მეგობრობს და ელოდება, როდის დაბრუნდება ის პოლიტიკაში.

**ბიძინა ივანიშვილი:**

— ახლაც ისევე ვმეგობრობ ღარიბაშვილთან, როგორც ადრე. ჩვენ ოჯახები ვმეგობრობთ. არც მაშინ მერიდებოდა ამის თქმა და არც ახლა, კახელი ვაჟკაცია, კახურად პირდაპირი და მართალი კაცია.



ღარიბაშვილს მზაობა ჰქონდა, თუ საჭიროება იქნებოდა, პოლიტიკაში ჩართულიყო. მე მასთან მაქვს აქტიური ურთიერთობა დღესაც, ხშირად ვერ ვხვდებით, საუბედუროდ, მაგრამ სატელეფონო საუბრები გვაქვს, ჩვენი მეუღლეები საუბრობენ ერთმანეთში. მე ვფიქრობ, რომ ირაკლი არის კარგი სათადარიგო მოთამაშე, ახალგაზრდა კაცი, რომელიც კარგად მოვიდა, კაცურად წავიდა, გაიმეორა კარგ დროს ის, რაც მე გავაკეთე და მიმაჩნია, რომ ისტორიაში პრეცედენტი არ ყოფილა ჩემამდე — მოვედი, გავიმარჯვე და წავედი.

ირაკლი გამოვიდა, თქვა, რომ სხვებმაც ეცადონ და გააკეთონ და ის, რომ ღარიბი პოლიტიკური სპექტრია ჩვენთან, მწირია სათადარიგოთა სკამი. აბა, ნახეთ, პოლიტიკოსებზე რამდენზე გაგიჩერდებათ თვალი, ვინც ამაყობს, რომ 10-15 წელია პოლიტიკაშია. ირაკლი, აი, ასე წავიდა, რომ მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს უნდა მისი ნახვა პოლიტიკაში. როცა დადგება საჭიროება, ირაკლის არაფერი არ შეუშლის ხელს. მას ეს მზაობა სულ აქვს.

* * *

ყოფილმა პრემიერმა არ დაიზარა და არჩევნების შედეგების გამოცნობასაც შეეცადა.

ივანიშვილის განცხადებით, „ქართული ოცნება“ პარლამენტში 90-ზე ნაკლებ დეპუტატს არ შეიყვანს:

— ასეთ სტატისტიკას ვამბობდი, რომ შევალთ აბსოლუტური უმრავლესობით. საკონსტიტუციო უმრავლესობა მქონდა მხედველობაში. საერთოდ, არჩევნების დროს ყველა აჭარბებს, პრინციპში და ყველა ცდილობს.

ამ მხრივ ზედმეტი არ მიქნია, მაგრამ, ის რეალობა რომ დადებულიყო, რასაც ქართველი ხალხი მაშინ ითხოვდა, ჩვენ მივიღებდით იმ ციფრებს, რასაც მე ვამბობდი. დღევანდელობა თუ გაინტერესებთ, „ქართული ოცნება“ იქნება დომინანტი და რაც მე მითქვამს საშუალოდ 100 დეპუტატი-მეთქი, 90-ზე ნაკლებ დეპუტატს ვერ ვხედავ, ვისაც შეიყვანს პარლამენტში, ჩემი გადმოსახედიდან.

ასეთია რეალობა. ვიღაცებს მოსწონთ, ვიღაცებს არ მოსწონთ, მაგრამ მოსახლეობა არის ძალიან გამჭრიახი, ძალიან ნიჭიერი, ამიტომ, იმედი მაქვს, მოსახლეობის ძირითადი ნაწილი სწორ არჩევანს გააკეთებს.

**გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

2016, 23 სექტემბერი, №226

# კარლო კოპალიანი: „ხელებშეკრული, დასისხლიანებული ხალხის გორაზე მისროლეს“

## „26 მაისის საქმეზე კიდევ ბევრი სკანდალური ვიდეო არსებობს“

შორენა მარსაგიშვილი

რატომ გამოაქვეყნა პროკურატურამ არჩევნების წინ სკანდალური ვიდეო, რა კადრების გამოქვეყნებას უნდა ველოდოთ მომავალში, რატომ არ დაკითხეს 26 მაისის ღამეს ნაცემი დეპუტატი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ პარლამენტის წევრი **კარლო კოპალიანი** ესაუბრა.

***– რამდენიმე დღის წინ პროკურატურამ 26 მაისის საქმეზე აქამდე უცნობი ვიდეოკადრები გამოაქვეყნა. საზოგადოებაში გაჩნდა ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ საგამოძიებო უწყებას ეს კადრები აქამდეც ჰქონდა, მაგრამ ისინი საარჩევნოდ შემოინახა. თქვენ რას იტყვით, არჩევნებამდე 3 კვირით ადრე შემთხვევით აღმოაჩინეს ეს კადრები?***

– ამ კადრებმა საზოგადოება კიდევ ერთხელ ჩააგდო შოკში. პირადად ჩემთვის იქ ახალი არაფერი ყოფილა, რადგან თავად გახლდით იმ აქციაზე და მეც ძალიან ბევრი მომხვდა.

პროკურატურის მიერ გამოქვეყნებული ვიდეომასალიდან ჩანს, რომ კუდის მაშინდელი უფროსი დათა ახალაია თანამშრომლებს ეუბნება – რაც მეტს დააკავებთ, მეტ პრემიას მიიღებთო. არც ეს იყო ჩემთვის სიახლე. ყველამ ვიცოდით, რომ ასეთ საქმეებში სააკაშვილი თავის ჯალათებს პრემიებს აძლევდა.

მე იმ ღამეს რუსთაველზე ვიყავი. 26 მაისს რუსთაველზე 1.500-ზე მეტი ადამიანი დააკავეს. რუსთაველზე ისინი, როგორც ტყვეები, ისე ჩამოატარეს. მიუხედავად იმისა, რომ მე დეპუტატი ვიყავი, მეც დამაკავეს, მცემეს, ბორკილები დამადეს და სისხლით მორწყულ რუსთაველზე მათრიეს. სისხლიანი ღამის მეორე თუ მესამე დღეს საგანგებო პრესკონფერენცია გავმართე და დაკითხვა მოვითხოვე. არც მაშინდელმა და არც ახლანდელმა პროკურატურამ არ დამკითხა.

***– თქვენ აზრით, რატომ არ დაგიბარეს დაკითხვაზე?***

– ვერ გეტყვით. ეტყობა, არ აინტერესებთ ეს ამბავი. დარბევის ღამეს სასტიკად მცემეს, მაგრამ ამის გამო არცერთი ელჩი არ შეშფოთებულა, არც არასამთავრობოებს ამოუღიათ ხმა. სამაგიეროდ, ჩიორა თაქთაქიშვილის ცხვირიდან სისხლმა რომ გამოჟონა, ლამის მთელი მსოფლიო ფეხზე დადგა.



მსოფლიოს, წესითა და რიგით, იმ საშინელებაზე უნდა ამოეღო ხმა, რასაც 26 მაისის ღამეს ჰქონდა ადგილი. მრავალი აქციის მონაწილე ვარ და ბევრჯერ მოვყოლილვარ დაშლაში, მაგრამ ასეთი რამე არ მინახავს. ეს არ იყო დაშლა, ეს იყო ხალხის ამოწყვეტის ოპერაცია. როცა მიზნად დაშლა გაქვს, მაშინ ხალხს გასაქცევი უნდა დაუტოვო. ამ შემთხვევაში ყველა გასასვლელი საგულდაგულოდ იყო ჩაკეტილი.

ალყაში მოქცეულ ხალხს სასტიკად გაუსწორდნენ, ზოგი მოკლეს, ბევრი დააინვალიდეს.

***– ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ეს კადრები არჩევნების წინ რატომ გამოქვეყნდა?***

– რა მნიშვნელობა აქვს, როდის გამოქვეყნდა? როცა გამოჩნდა, მაშინ გამოაქვეყნეს. მე არა მგონია, რომ კადრების გამოქვეყნება არჩევნებს უკავშირდებოდეს. პროკურატურას ეს კადრები აქამდე რომ მოეპოვებინა, მაშინ გაასაჯაროებდა, ვანო მერაბიშვილს რომ ასამართლებდნენ.

იმ სისხლიან ღამეზე კიდევ ბევრი კადრი არსებობს და მათი გამომზეურება, შესაძლოა, ნებისმიერ მომენტში მოხდეს.

***– კადრების გამოქვეყნებაზე რაიმე ინფორმაცია გაქვთ თუ ეს თქვენი ვარაუდია?***

– ეს მხოლოდ ჩემი ვარაუდია. იმ პროცესებს უამრავი ადამიანი იღებდა, ზოგი ტელეფონით, ზოგი – კამერით. ამ ყველაფერს იღებდა შსს-ც. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ისინი, ალბათ, ამ კადრებს გაანადგურებდნენ, მაგრამ სადღაც რაღაც იქნება. ბოლოს გამოქვეყნებული მასალაც შსს-ს ოპერატორის მიერ არის გადაღებული.

26 მაისის ღამეს რუსთაველის გამზირზე ათეულობით ქართველი და უცხოელი ჟურნალისტი იმყოფებოდა. იმ სასაკლაოს ისინიც იღებდნენ. ბევრი საინტერესო კადრია გადაღებული. სამწუხაროდ, დღეს არცერთი ეს კადრი აღარ არსებობს.

***– სად გაქრა?***

– ეს თქვენს კოლეგებს უნდა ვკითხოთ. რამდენადაც ვიცი, მათ ბევრი რამე წაუშალეს, მაგრამ ბევრიც გადარჩებოდა. მოვუწოდებ ჟურნალისტებს, თუ ვინმეს აქვს ეს კადრები, გადასცეს პროკურატურას. რუსთაველზე რამდენიმე ათეული ოპერატორი იდგა და დარბევის ამსახველი ვიდეოკადრები არ არსებობს. არის ფოტოები.



ამ ფოტოების გადაღებაც ძვირად დაუჯდათ ჩვენს ფოტოგრაფებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ფოტოგრაფები სწორედ 26 მაისს გადაღებული კადრებისთვის დაიჭირეს და ჯაშუშობა დასწამეს.

ნაციონალების მიერ მართული მედია ამ კადრებს, ალბათ, გაანადგურებდა, მაგრამ სადღაც რაღაც მაინც იქნება შემონახული. ამ კადრებით კიდევ ერთხელ დარწმუნდება ხალხი, თუ რა „შეიარაღება“ ჰქონდათ აქციის მონაწილეებს. სად არის მოლოტოვის კოქტეილები, რომელიც უნდა ესროლათ? მერე იმას ამტკიცებდნენ, გრუ უნდა შემოსულიყოო. თუ ეს იგეგმებოდა, წინასწარ რატომ არაფერი იღონეს? არანაირი გრუ არ აპირებდა შემოსვლას. ეს საშინელი სპექტაკლი იმისთვის დაიდგა, რომ მომავალში არავის გაებედა პროტესტის გამოხატვა.

ნაციონალები უნდა შეეგუონ იმ აზრს, რომ ამ სისხლიან ღამეზე აუცილებლად აგებენ პასუხს. არ გამოვრიცხავ, ძალიან მალე კიდევ უფრო საშინელი კადრები გასაჯაროვდეს. როცა დამაკავეს, სისხლიან რუსთაველზე ხელებშეკრული ჩამატარეს და მერე დასისხლიანებული ხალხის გროვაზე მისროლეს. ეს იყო საშინელი სანახაობა. მედიას ეს კადრებიც აქვს. მახსოვს, სულ მცირე, 5 კამერა მაინც მიღებდა.

***– თქვენ ბევრი ისაუბრეთ იმ საშინელებაზე, რომელსაც 26 მაისის ღამეს ჰქონდა ადგილი. თქვენი კოლეგებიც ბევრს საუბრობენ ამაზე. საინტერესოა, რატომ არ დაისაჯა ის ხალხი, რომლებმაც ეს დანაშაული ჩაიდინეს?***

– მე ვერ ვიტყვი, რომ არავინ დაისაჯა. ვანო მერაბიშვილი ამ სისხლიანი ღამის გამოც ზის ციხეში. ბევრად მეტი იყო დასასჯელი, მაგრამ ამაში თავს მოხვეულმა კოაბიტაციამ შეგვიშალა ხელი.

***– კოაბიტაცია ისევ ძალაშია და, თუ არავინ დაისჯება, რა აზრი აქვს ასეთი კადრების გამოქვეყნებას?***

– აზრი როგორ არა აქვს. ხალხმა უნდა გაიხსენოს, რა სისხლიან რეჟიმთან გვქონდა საქმე. ივანიშვილი რომ არ გამოჩენილიყო, კიდევ ბევრი სისხლიანი ღამე იქნებოდა საქართველოში. ნიშანდობლივია ისიც, რომ ბატონმა ბიძინამ პოლიტიკაში მოსვლა სწორედ 26 მაისის დარბევის შემდეგ გადაწყვიტა.

ამ და კიდევ ათასი უბედურების ჩამდენი ნაციონალები, წესით, სახლებში უნდა იყვნენ შეკეტილნი და გარეთ ცხვირს ვერ ყოფდნენ.

***– 2012 წლის არჩევნების შემდეგ თავიდან მართლაც ვერ გამოდიოდნენ გარეთ და მერე თქვენი ხელისუფლების ქმედებებმა გააბედვინა გამოსვლა.***

– ჩვენ რა უნდა გვექნა? ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის პირობით მოვედით, მაგრამ ბევრმა ფაქტორმა შეგვიშალა ხელი. ნაცებმა ლამის მთელი მსოფლიო აგვიმხედრეს და კარგად ხედავთ, რა ამბავი აქვთ ატეხილი მერაბიშვილსა და ახალაიაზე, რომლებიც მატროსოვის ციხეში გადასარევ პირობებში არიან.

კოაბიტაციამ ჩვენი რეიტინგიც დააზარალა. ეს ნაცები ისე გათავხედდნენ, აქეთ გვდებენ ძალადობას ბრალად და კორცხელის ინციდენტი მოჰყავთ მაგალითად.

***– კორცხელშიც სერიოზული ამბავი მოხდა.***

– სასიამოვნო ნამდვილად არ იყო, მაგრამ ნაციონალების ჩადენილ სისასტიკესთან ახლოსაც ვერ მივა. ჯერ ისიც საკითხავია, რა მოხდა იქ სინამდვილეში. კადრებში ძალიან კარგად ჩანს, რომ ნიკა მელიას გინების გამო მოხვდა პანღური. არც ბოკერია აკლებდა სპექტაკლის მოწყობას.

საერთოდ, ესენი ხმას არ უნდა იღებდნენ. ჩვენ მიგვითითებენ ფულის უკანონო ხარჯვაზე და ამ დროს თავად ათეულობით ათას დოლარს ხარჯავდნენ განათლების მისაღებად.

***– განათლების მიღება ცუდია?***

– სახელმწიფოს ხარჯზე რატომ უნდა მიიღოს ჩინოსანმა განათლება?! სადღაც გაუშვა თავისიანები საკაშვილმა და 100.000-ები გადაურიცხა. ეს მაშინ, როცა 20.000-მდე ახალგაზრდას სტუდენტის სტატუსი მხოლოდ იმიტომ შეუწყდა, რომ სწავლის საფასური ვერ გადაიხადეს.

# ამერიკელი ექსპერტები: „არჩევნებში დამარცხებულმა შედეგები უნდა აღიაროს“

ამერიკული რადიოსადგური ამერიკის ხმა საქართველოში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ამერიკელი ექსპერტების კომენტარებს აქვეყნებს, რომელთა მიმოხილვას საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

ექსპერტები საქართველოში მშვიდობიანი და ევროპული სტანდარტების არჩევნების ჩატარებას იმედოვნებენ. მათ ნაწილს მიაჩნია,



პოლ გობლი

რომ საქართველო რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლია.

– საქართველო ევროპაა და ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნები ჩაატაროს, – აცხადებს ამერიკის მაუწყებელთა საბჭოს ყოფილი წევრი და რადიო თავისუფლების ყოფილი პრეზიდენტი ენდერს ვიმბუში.

მას იმედი აქვს, რომ არჩევნები მშვიდობიანად ჩაივლის.

– ამაში დარწმუნებული ვარ. საქართველო ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ რეგიონში საუკეთესო არჩევნები ჩაატაროს. მთავრობა შთამბეჭდავად მუშაობს ამაში დასარწმუნებლად, – განაცხადა ამერიკის ხმასთან ინტერვიუში ენდერს ვიმბუშმა.

მან ასევე დასძინა, რომ როცა არჩევნები დამთავრდება, შედეგი ყველამ უნდა მიიღოს და საქართველოს დაწინაურება ყველამ უნდა გააგრძელოს.

ენდერს ვიმბუშის თქმით, საქართველოს დემოკრატიული განვითარება შეუქცევადი პროცესია. ქართველმა საზოგადოებამ ერთხელ უკვე გააცნობიერა, თუ რას ნიშნავს თავისუფალი და მშვიდობიანი არჩევნების ჩატარება. შესაბამისად, ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის მოსახლეობაში ჩამოყალიბებული ამ დემოკრატიული ღირებულების შეცვლა ძალიან რთული იქნება.

– საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად დარჩება. თუმცა, დემოკრატია ყველგან სხვადასხვა ფორმას იღებს. შეხედეთ, რა ხდება შეერთებული შტატების არჩევნებზე – ვერავინ იფიქრებდა, რომ ასეთი რამ მოხდებოდა, – ამბობს ენდერს ვიმბუში.

* * *

რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ექსპერტი ვაშინგტონში პოლ გობლი აცხადებს, რომ საქართველო გამონაკლისია რეგიონში, რადგან ის ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დემოკრატიული პროცესების ინსტიტუციონალიზაცია შედარებით წარმატებით განხორციელდა.



ენდერს ვიმბუში

– საქართველოს უდიდესი პროგრესი აქვს, – ამბობს ექსპერტი, – ჩვენ დასავლეთში 1990-იან წლებში დიდი შეცდომა დავუშვით – დემოკრატია და ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ერთმანეთში ავრიეთ. დემოკრატიას ის საზღვრავს, თუ როგორ ხდება ძალაუფლების გაზიარება, დაყოფა და კონტროლი. ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და შედარებით ნაკლებ დონეზე საქართველოსა და უკრაინის გარდა დემოკრატიის ინსტიტუციონალიზაცია რეგიონში სხვა ვერცერთმა ქვეყანამ ვერ შეძლო.

მისი აზრით, 2012 წელს ქვეყანაში ხელისუფლების არჩევნების გზით შეცვლის შემდეგ საქართველომ მსოფლიოს დაანახა, რომ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესები წარმატებით მიმდინარეობს.

პოლ გობლი ამბობს, რომ საქართველო რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ამ დემოკრატიული პრეცედენტის გაგრძელება შეუძლია. იგი ასევე დასძენს, რომ იმისთვის, რათა საქართველომ ევროპული სტანდარტების არჩევნების ტრადიცია გააგრძელოს, რამდენიმე ფაქტორი უნდა გაითვალისწინოს.

– არჩევნები რაც შეიძლება გამჭვირვალედ, რაც შეიძლება კონკურენტულ გარემოში ჩაატარეთ. გახადეთ გასაგები, რომ თუ ოპოზიცია გაიმარჯვებს, ძალაუფლება ოპოზიციას გადაეცემა. თუ დამარცხდება, მან უნდა მიიღოს ის, რომ ოპოზიციაში დარჩება, – ამბობს ამერიკის ხმასთან ინტერვიუში პოლ გობლი.

ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ საქართველოს დემოკრატიული ტრადიცია უკვე აქვს, რომელიც ქვეყანამ აუცილებლად უნდა გააგრძელოს.

ამის დემონსტრირების საუკეთესო გზა ოქტომბერში ღია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩატარება იქნება.

# სოსო შატბერაშვილი: „არეულობას არჩევნების ღამესვე ვვარაუდობ“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილ ვითარებაზე „ახალი თაობა“ მემარცხენე ალიანსის გენერალურ მდივან **სოსო შატბერაშვილს** ესაუბრა.

***— წინასაარჩევნოდ გამოქვეყნდა 2011 წლის 26 მაისის დარბევის ახალი კადრები. ასევე ხდება ლევილის მამულის საქართველოსთვის გადმოცემა. ეს გარემოებები რაიმენაირად იმოქმედებს ამომრჩეველზე?***

— არ იმოქმედებს. კადრებმა ერთადერთხელ იქონია გავლენა ამომრჩეველზე. ეს იყო 2012 წელს გასაჯაროებული ციხის კადრები. ამან იმოქმედა მაშინდელი საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე. ახლა ეს აღარ ჭრის. რაც უნდა რეალობის ამსახველი იყოს ფილმი „ჰეროკრატია“, მოქალაქეებზე ის ვერ მოქმედებს. არც 26 მაისის მოვლენების ამსახველი ახალი ფაქტები და ჩანაწერები შეცვლის რამეს.

ისე, რა უნდოდა 26 მაისის ამბების ბოლომდე გამოძიებას, როცა ამდენი მოწმე და ამ რაოდენობის მასალებია? ახალი კადრებით გვითხრეს, რომ ამ სისხლიანი დარბევისთვის პრემიები გაიცა. რა იყო აქ ახალი? პრემიები სააკაშვილის დამნაშავე რეჟიმმა დაარიგა 26 მაისის შემდეგაც, 2007 წლის 7 ნოემბრის დარბევის მერეც. ნებისმიერ დარბევას ახლდა დაჯილდოება. მიტინგების დარბევა კი არა, ქუჩაში გარემოვაჭრეების აყრაც პრემიებით აღინიშნებოდა. ბრგე, კუნთმაგარი ვაჟკაცები მოვაჭრე ბებიების ხელკეტებით დასჯისთვისაც ჯილდოს იღებდნენ.

ლევილის მამულის თემა ძველია. საარჩევნოდ ისიც ვერ მოახდენს ცვლილებებს.

***— ეს ამომრჩევლისთვის პირველხარისხოვანი არ არის?***

— ლევილის მამულის გადმოცემის საკითხი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ეროვნული მოძრაობა აღზევდა. ეს თემა 80-იანი წლებიდან მოდის. ლევილის გადმოცემისთვის იბრძოდა მხეცურად მოკლული გურამ შარაძე. 80-იანი წლებიდან მოყოლებული, საქართველომ უამრავი კატაკლიზმა გადაიტანა, სახელმწიფო გადატრიალებით დაწყებული, კრიმინალთა თარეშით დამთავრებული. ქვეყანა დატოვა თითქმის მილიონნახევარმა ადამიანმა. ბევრი მათგანი საზღვარგარეთ მონურ მდგომარეობაშია. არც საქართველოში დარჩენილები არიან კარგ მდგომარეობაში. ასეთ სიტუაციაში წინასაარჩევნოდ ლევილის დაბრუნება აქტუალური არ არის. წინასაარჩევნოდ რომ ამომრჩეველზე პოზიტიურად ემოქმედა, ხელისუფლებას უნდა სხვა ნაბიჯები გადაედგა.





***— რომელი ნაბიჯები?***

— ის ნაბიჯები, რომლებიც გააუმჯობესებდა ეკონომიკას და სოციალურ მდგომარეობას, გაამყარებდა ლარს. ჩვენი მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანია არა მარტო უვიზო მიმოსვლა ევროკავშირის სახელმწიფოებთან, არამედ სავიზო რეჟიმის გაუქმება რუსეთთანაც. მე, როგორც ყაზბეგის, თიანეთისა და დუშეთის მაჟორიტარობის კანდიდატი, ვიმყოფებოდი ლარსის გამშვებ პუნქტთან. აღმოვაჩინე, რომ რუსეთიდან საქართველოში დღე-ღამეში 1.200-მდე მანქანა გადმოდის. ადამიანები საქართველოს საზღვარს კვეთენ არა მარტო ტურისტული მიზნებისათვის, არამედ ეკონომიკური სარგებლობისთვისაც. ისინი ჩვენთან უვიზოდ შემოდიან.

კარგი იქნება, თუ ჩვენი მოქალაქეებიც თავისუფლად ივლიან რუსეთში. ეს საჭიროა მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. რუსეთმა უვიზო რეჟიმზე საუბარი შემოგვთავაზა, მაგრამ ამან გამოხმაურება არ ჰპოვა საქართველოს პირველ პირებში. რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა გვაქვს, მაგრამ ამ თემაზე დიალოგი მაინც დასაწყები იყო.

***— რა პროგნოზი გაქვთ საარჩევნოდ? თუ ნაციონალური მოძრაობა მეორე ადგილზე გავა, ის პროტესტს მაინც დაიწყებს?***

— ნაცმოძრაობის მიზანია არა პირველი ადგილი არჩევნებზე, არამედ ხელისუფლებაში მობრუნება.

***— არასაარჩევნო გზით?***

— ძალადობრივი, რევოლუციური გზით. ნაციონალებს უნდათ, ისევ ძარცვონ ჩვენი ქვეყანა. ეს ქვეყანა ჩვენია. ამას ხაზგასმით ვამბობ. საქართველო არ არის ნაციონალების ქვეყანა. ამას ადასტურებს მათ მიერ ჩადენილი დანაშაულები და ის, თუ როგორ სასწრაფოდ მიიღეს გაქცეულმა ნაციონალებმა სხვა ქვეყნების მოქალაქეობა. რა შედეგიც უნდა მიიღონ, ისინი ქუჩაში მაინც გამოვლენ. არეულობას არჩევნების ღამესვე ვვარაუდობ, თუმცა ჩემი პარტია, საზოგადოების დიდი ნაწილი ამას არ დავუშვებთ. იმედია, ხელისუფლებაც კანონის შესაბამისად იმოქმედებს.

***— როგორი კონფიგურაციაა მოსალოდნელი მომავალ პარლამენტში?***

— მრავალპარტიული. „ქართული ოცნება“ გავა პირველ ადგილზე, მაგრამ ვერ მოიპოვებს უმრავლესობას. „ოცნება“ დაახლოებით 35%-ს მიიღებს. პარლამენტში სხვა პარტიებიც მოხვდებიან. საუბედუროდ, მათ შორის შეიძლება იყოს ნაცმოძრაობაც. იმედია, ამომრჩეველი მას არ დაუჭერს მხარს.

***— ნაცმოძრაობას მყარი ამომრჩეველი ჰყავს?***

— ნაცმოძრაობის ამომრჩეველი მყარია, მაგრამ — მცირერიცხოვანი. კიდევ არსებობენ ქალები, რომლებიც გულში იხუტებენ სააკაშვილის სურათებს და მამაკაცები, რომელთათვისაც სააკაშვილი იდეალური მოღვაწეა. ეტყობა, მათთვის სასახელოა ის, რომ მან რამდენიმე საათში წააგო ომი. თავის დროზე, აფხაზეთის ომის დროს, ჩვენი მოქალაქეები შიშველი ხელებით ებრძოდნენ მტერს და წელიწად-ნახევარი გაძლეს. შევარდნაძეს რომ ვერაგულად არ გამოეყვანა მძიმე ტექნიკა, კიდევ დიდხანს იბრძოლებდნენ და აფხაზეთს არ დათმობდნენ, სააკაშვილისგან განსხვავებით. სააკაშვილმა რამდენიმე წლის წინ უამრავი სოფელი დათმო.

***— ამომრჩევლები ყველაზე ხშირად რომელ პრეტენზიებს აყენებენ?***

— სამართლიანობის არაღდგენას. „ქართულმა ოცნებამ“ სხვა დაპირებებიც ვერ შეასრულა, მაგრამ ადამიანები ყველაზე ხშირად ლაპარაკობენ არა დენის ტარიფის გაძვირებაზე, ლარის კურსზე ან პენსიებზე, არამედ იმაზე, რომ ვერ აღდგა სამართლიანობა და არ გასამართლდა დამნაშავე ნაციონალური მოძრაობა.

მათი კიდევ ერთი მთავარი მოთხოვნა დასაქმებაა. ადამიანებს არ უნდათ არავისი მოწყალება. მათ აქვთ სურვილი, იცხოვრონ საკუთარი შრომით. ამიტომ არის დიდი მოთხოვნა ფაბრიკა-ქარხნებზე, დამზადების პუნქტებზე. ჩვენს მოქალაქეებს უნდათ შრომა და არა — სოციალურად დაუცველთა ბაზაში მოხვედრა.

# მამუკა ახვლედიანი: „თქვენს კარზეც დააკაკუნებენ“

— სასურველი შედეგების მისაღებად საქმეები ნაწილდება კონკრეტულ მოსამართლეებზე. ამით, ალბათ, შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ. რომც აღმადგინონ, იუსტიციის უმაღლეს საბჭოში მყოფ ხალხთან მუშა-



ობას ნამდვილად არ ვაპირებ, — განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარე მამუკა ახვლედიანმა მისი სარჩელის თაობაზე გადაწყვეტილების მოლოდინთან დაკავშირებით საუბრისას.

როგორც ახვლედიანმა აღნიშნა, მისი გათავისუფლების შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის მიზანი არა მისი თანამდებობაზე აღდგენა, არამედ საზოგადოებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეალური სახის კიდევ ერთხელ დანახვაა.

— მე მეგონა, რომ საზოგადოების დამოკიდებულება ამ ტიპის საქმეებზე უფრო მკვეთრი იქნებოდა. ამ საქმემ კიდევ ერთხელ დაარწმუნა საბჭო, რომ მათ დიდი ძალა აქვთ, აჩვენეს დანარჩენ სისტემას თავიანთი ძალა და კიდევ უფრო მორჩილი გახდა სასამართლო სისტემა.

მე ვაჩვენე საზოგადოებას ამ ადამიანების სახე, რას წარმოადგენენ და რა ძალა აქვთ, რომ შეუძლიათ, ნებისმიერი ადამიანის მიმართ ასე მოიქცნენ. საზოგადოებას ვაჩვენე, რომ ნებისმიერ წუთს შეუძლიათ მათ კარზე დააკაკუნონ. როგორც წინა ხელისუფლებას ეგონა სასამართლოსთან დამოკიდებულებაში, რომ სხვის კარზე მუდმივად თვითონ დააკაკუნებდნენ, საბოლოოდ, ასე არ აღმოჩნდა და მათ კარზეც დააკაკუნეს, — განაცხადა მამუკა ახვლედიანმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე არ გამორიცხავს, რომ თვალის ახვევისა და იმის დემონსტრირებისთვის, რომ მოსამართლეებს საბჭოს სასურველი გადაწყვეტილებები არ გამოაქვთ, მისი სარჩელი დაკმაყოფილდეს.

— საქალაქო სასამართლომ შეიძლება თქვას, რომ არასწორი გათავისუფლება იყო და მერე გამოჩნდება, რომ მოსამართლეები არ ემორჩილებიან საბჭოს და შეუძლიათ მათ საწინააღმდეგო გადაწყვეტილებაც მიიღონ.

ეს არის მასკარადი, ამით ერთობა ეს ხალხი და საზოგადოებას ვითომ დემოკრატიულ იმიჯს აჩვენებს. მე პირადად რომც აღმადგინონ, ამ ხალხთან მუშაობას ნამდვილად არ ვაპირებ, — განაცხადა ახვლედიანმა.

მისივე თქმით, სასამართლოებში ძალიან საშიში პოლიტიკური კორუფციის ტენდენციები არსებობს და ასეთ გარემოში საბჭო თავს კომფორტულად გრძნობს.

— უამრავი საქმე ნაწილდება მოსამართლეების შვებულებაში ყოფნის პერიოდში, მათთვის სასურველ მოსამართლეებს, გადმოყვანილს, ახალდანიშნულ მოსამართლეებს აწერენ საქმეს, რომ მათთვის სასურველი გადაწყვეტილებები იყოს. კორუფციულ ფაქტებზე ძალიან რთულია საუბარი გადაწყვეტილების მიხედვით. ამით, ალბათ, შესაბამისი ორგანოები უნდა დაინტერესდნენ, — აღნიშნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოფილმა თავმჯდომარემ.

**ინტერპრესნიუსი**

# მერაბიშვილი, კოდუა და სირაძე ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე დამნაშავედ ცნეს

ყოფილ დეპუტატ ვალერი გელაშვილის ცემის საქმეზე სასამართლომ განაჩენი გამოაცხადა.

მერაბიშვილს 6 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა და თანამდებობის დაკავების აკრძალვა შეეფარდა 2 წლითა და 3 თვით, კოდუასა და სირაძეს კი 9-9- წლიანი პატიმრობა და ასევე 2 წლითა და 3 თვით თანამდებობის დაკავების აკრძალვა.





საქართველოს პარლამენტის წევრ ვალერი გელაშვილზე 2005 წელს მომხდარი შეიარაღებული თავდასხმისა და მისი ცემის საქმეზე საქართველოს ყოფილ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, შინაგან საქმეთა ყოფილ მინისტრ ივანე მერაბიშვილს, სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ყოფილ უფროს ერეკლე კოდუას და ამავე დეპარტამენტის სამმართველოს ყოფილ უფროს გია სირაძეს 2014 წელს წაუყენეს.

მიხეილ სააკაშვილსა და ივანე მერაბიშვილს ბრალად ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების ორგანიზება, ერეკლე კოდუასა და გია სირაძეს კი სიცოცხლისათვის სახიფათო ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება და ყაჩაღობა ედებათ.

საქმე ორ ეპიზოდად გაიყო და ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტზე ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბრალეულობის საკითხი სასამართლოში ცალკე განიხილება.

**ინტერპრესნიუსი**

# ნინო ლომჯარია ბიძინა ივანიშვილს: „ვისაუბროთ მხოლოდ ფაქტებით“

— ივანიშვილის განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები დაუსაბუთებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ეკა გიგაურის დაკავშირებაზე 26 მაისის აქციის დარბევასთან, — განუცხადა ინტერპრესნიუსს „სამართლიანი არჩევნების“ წევრმა ნინო ლომჯარიამ, რითაც არასამთავრობო სექტორთან დაკავშირებით ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას გამოეხმაურა.





ნინო ლომჯარია ყოფილი პრემიერ-მინისტრის განცხადებას დაუსაბუთებელ და არაარგუმენტირებულ კრიტიკას უწოდებს.

ძალიან რთულია ისეთი განცხადების შეფასება, რაც შეიცავს არაეთიკურ, დაუსაბუთებელ და არაარგუმენტირებულ კრიტიკას. ძალიან სამწუხაროა, რომ ზოგადად პოლიტიკური პარტიები და მათ შორის, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“, მათი მხარდამჭერები და რეალური ლიდერები ირჩევენ ასეთი ტიპის რიტორიკას განსხვავებული აზრის მიმართ, — განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

მისი აზრით, ამ განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები დაუსაბუთებელია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საუბარია ეკა გიგაურის დაკავშირებაზე 26 მაისის აქციის დარბევასთან მაშინ როდესაც უკვე 4 წლის წამოსული იყო სახელმწიფო სამსახურიდან.

— თუმცა მინდა, ხაზი გავუსვა იმას, რომ სახელმწიფო სამსახურში ყოფნა, თუნდაც „პაგონების“ მიღება, როდესაც შენ ემსახურები შენს ქვეყანასა და შენი ქვეყნის განვითარებას, არა მგონია, იყოს დამაკნინებელი ან შეურაცხმყოფელი. პირიქით, მე მიმაჩნია, რომ ეს არის პატივი, — აღნიშნა ლომჯარიამ.

ის ფიქრობს, რომ თუკი ვინმეს მიმართ არსებობს კითხვის ნიშნები, თუნდაც მათი წარსული საქმიანობის მიმართ, მათი წარსული პოზიციების მიმართ, უმჯობესი იქნება ვისაუბროთ ფაქტებით, ვისაუბროთ არგუმენტებით და არა დაუსაბუთებელი ჭორებითა და ინფორმაციებით.

— ჩვენ, არასამთავრობო სექტორი, მზად ვართ, გვქონდეს ნებისმიერ თემაზე დისკუსია მათთან და ვისაუბროთ არგუმენტირებულად, ვისაუბროთ ფაქტებით და არა ასეთი არაეთიკური გამონათქვამებითა და შეფასებებით, — განაცხადა ნინო ლომჯარიამ.

**ინტერპრესნიუსი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმულისარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# რატომ დაუყადაღა სასამართლომ ბინა 84 წლის უსინათლო ვართანუშ ჩინარიანს

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია „საკუთრების უფლების დაცვის გაერთიანების" წარმომადგენელი მანანა რთველიაშვილი აცხადებს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ 84 წლის უსინათლო, მარტოხელა მოხუცს ვართანუშ ჩინარიანს დაუსწრებელი გადაწყვეტილებით ბინა დაუყადაღა. მას სააღსრულებლო სამსახურის მხრიდან ბინიდან გამოსახლება და ბინის გაყიდვა ემუქრება.

რა გახდა უსინათლო მოხუცი ქალის ბინის დაყადაღების მიზეზი? ამის შესახებ ვართანუშ ჩინარიანი „ახალ თაობას" ესაუბრა.

***– რა გახდა თქვენი ბინის დაყადაღების მიზეზი?***

– ერთ საღამოს წყლის მილი გასკდა. ახლობელს ვთხოვე, ჩემთვის ახალი წყლის მილი ეყიდა. შემდეგ მეზობელს ვთხოვე, შეეკეთებინა მილი, მაგრამ უარი მითხრა, მაგრამ შევძელით შეკეთება, თუმცა, ახალი მილის გაკეთებიდან რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ღამით, წყალი დიდი წნევით მოვიდა და მილი კვლავ გახეთქა. მეზობლებს ვთხოვე და წყალი გადაკეტეს. თუმცა, წყალი ჩემ ქვემოთ მცხოვრები მეზობლის ბინაში მაინც ჩავიდა. ამ დროს ისინი სახლში არ იმყოფებოდნენ.

***– ბევრი რამ გაფუჭდა?***

– ვერ გეტყვით. გასაღები მეზობელთან ჰქონდათ დატოვებული. მეზობლებთან ერთად შევედით და იატაკი მშრალი იყო.

***– გინდათ თქვათ, რომ ბევრი არაფერი გაფუჭებულა?***

– არა, მაგრამ, როცა დაბრუნდნენ, ჩემი ახლობლები ბინაში არ შეუშვეს. ამიტომ ზარალის დათვლა ვერ მოხერხდა. ბინის მეპატრონე ყვიროდა.

***– რას გეუბნებოდათ?***

– მოითხოვდა, ბინა გამეყიდა და ზარალის საფასურად 20 ათასი მომთხოვა.

***– თქვენ რა გააკეთეთ?***

– არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა.

***– საბოლოოდ ზარალის ასანაზღაურებლად რამდენი მოგთხოვეს?***

– 4 ათასი მომთხოვა და, რომ ვერ გადავუხადე, სასამართლოში მიჩივლა. სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა და ბინა დამიყადაღეს. დაზარალებულს ვთხოვე, რომ თანხას ჩემი პენსიიდან გადავუხდიდი ყოველთვიურად, მაგრამ უარი მითხრა.



***– დაზარალებულთან მოლაპარაკება არ გიცდიათ?***

– რამდენჯერმე ვიყავი, მაგრამ არც მალაპარაკა, მითხრა, ეს ჩემი საქმე არაა, სასამართლოს გადასაწყვეტიაო. სამწუხაროდ, ისეთი ადამიანია, მასთან ლაპარაკი შეუძლებელია.

***– სასამართლოში რატომ არ გამოცხადდით?***

– ერთხელ მოვიდა უწყება, ვერ ვხედავდი და ხელი არ მოვაწერე, არ ჩავიბარე. მეორედ უწყება აღარ მოსულა. ამის შემდეგ სასამართლომ დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოიტანა. გავიგე, მოსამართლე იმ ქალის ბავშვის ნათლიაა.

***– ახლა რას აპირებთ?***

– არ ვიცი, რა ვქნა, ყოველდღე ველოდები გამოსახლებას. ბინის გაყიდვა არ შემიძლია. ან სად უნდა წავიდე საცხოვრებლად, პატრონი არავინ მყავს. ბინა დაყადაღებულია, საქმე უკვე სააღსრულებლოშია და ყოველ წუთს შეიძლება გამიყიდონ. არ ვიცი, სად წავიდე. უსინათლო და მარტოხელა ვარ, სად ვიცხოვრო.

* * *

არასამთავრობო ორგანიზაცია „საკუთრების უფლების დაცვის გაერთიანების" წარმომადგენელი მანანა რთველიაშვილი იმედოვნებს, რომ სააპელაციო სასამართლო ვართანუშ ჩინარიანის სოციალური მდგომარეობის შესახებ მათ მიერ წარდგენილ ახალ გარემოებებსა და არგუმენტებს გაითვალისწინებს და, მიუხედავად კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებისა, გამონაკლისს დაუშვებს, საქმეს დაარღვევს და ხელახალი განხილვისთვის კვლავ რუსთავის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნის.

***– ქალბატონო მანანა, როგორც იურისტი, როგორ აფასებთ სასამართლო აღნიშნულ გადაწყვეტილებას?***

– როცა მოპასუხე არ გამოცხადდება, დაუსწრებელი გადაწყვეტილება გამოაქვს, მაგრამ ეს საქმე დასარღვევია.

***– რატომ?***

– საქმე დასარღვევია, რადგან მოსამართლისთვის არ იყო ცნობილი, რომ ეს ხანდაზმული ქალი, ვართანუშ ჩინარიანი, გახლდათ უსინათლო, სოციალურად დაუცველი, მარტოხელა, წამლების ფულიც არ აქვს.

***– კიდევ რა შეიძლებოდა, მოსამართლეს გაეთვალისწინებინა და არ გაითვალისწინა? მოსამართლისთვის არ იქნებოდა ცნობილი, მოპასუხე ხანში შესული რომ იყო და სასამართლოს შენობაში მისვლას ვერ შეძლებდა? უფრო სწორი არ იქნებოდა, მოსამართლეს გასვლითი სხდომა ჩაეტარებინა?***

– თუ ვივარაუდებთ, რომ მოპასუხის პირადობა გადამოწმდებოდა, გაირკვეოდა ვითარება, მაგრამ მოსარჩელე თავისი თავის საწინააღმდეგოდ ხომ არ აცნობებდა მოსამართლეს, მოპასუხე ხანდაზმული, უსინათლო, მარტოხელა და სოციალურად დაუცველი რომ იყო.

***– მოსარჩელემ ჩვენც არ გვიპასუხა, მაგრამ მოსამართლე მხოლოდ დაზარალებულის განცხადებებს დაეყრდნო თუ ექსპერტის დასკვნაც იყო იმის შესახებ, რეალურად რა ზიანი მიადგა მოქალაქეს?***

– დაუსწრებელი გადაწყვეტილებით არ ჩანს, მოსამართლე რას დაეყრდნო. არც ის ჩანს, ექსპერტიზის დასკვნა იყო თუ არა, როგორ განსაზღვრა ის 4 ათასი ლარი და რის საფუძველზე დააკისრა მოპასუხე ვართანუშ ჩინარიანს ამხელა თანხა. გადაწყვეტილებაში მითითებული უნდა ყოფილიყო ყველა მონაცემი.

ჩინარიანს სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილებაც კი არ ჰქონდა, ჩვენ მოვიპოვეთ სააღმსრულებლო სამსახურიდან, როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „საკუთრების უფლების დაცვის გაერთიანების" წარმომადგენლებმა.

სანამ სასამართლოში სარჩელს შეიტანდა, მოპასუხეს უთქვამს, ზარალს პენსიიდან ნაწილ-ნაწილ გადავიხდიო, მაგრამ მოსარჩელეს უარით უპასუხია. ნაწილ-ნაწილ გადახდას ვერ დაველოდები, ან ბინა გადამიფორმე, ან 20 ათასი ლარი გადამიხადე, თორემ სასამართლოში სარჩელს შევიტანო.

***– რა შანსია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეიცვალოს?***

– ჩვენ სააღმსრულებლო სამსახურს მივმართავთ აღსრულების სამი თვით გადადების თაობაზე. ამ დროში საქმეს სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრებთ, რომელსაც დავურთავთ მტკიცებულებებს, რომ მოპასუხე არის უსინათლო, არავინ ჰყავდა დამრიგებელი, არ იცოდა, რა ვადებში უნდა გაესაჩივრებინა სასამართლოს გადაწყვეტილება.

***– ეს ახალი გარემოებებია?***

– ახალი გარემოება ისაა, რომ მოპასუხე არის შრომისუუნარო, უსინათლო, ხანდაზმული, მარტოხელა, გადაადგილება არ შეეძლო. არ იცოდა, სასამართლოზე როგორ უნდა გამოცხადებულიყო. ჩვენ შემთხვევით შევხვდით. ის ტირილით მიდიოდა ქუჩაში, რასაც „საკუთრების დაცვის გაერთიანების" წარმომადგენელი შეესწრო. გადავწყვიტეთ, დავხმარებოდით.

ვინაიდან ვადა დარღვეულია და დაუსწრებელი გადაწყვეტილება უკვე შესულია კანონიერ ძალაში, შევეცდებით, სააპელაციო სასამართლოს დავარღვევინოთ საქმე და ხელახალი განხილვისთვის დავაბრუნებინოთ რუსთავის საქალაქო სასამართლოში. იქნებ სააპელაციო სასამართლომ გაითვალისწინოს არსებული გარემოებები და მტკიცებულებების წარდგენის შემდეგ გააუქმოს გადაწყვეტილება, რადგან 80 წლის მოხუცი, მარტოხელა ქალი ამხელა თანხას, თანაც ერთბაშად, ვერანაირად ვერ გადაიხდის.

***– საქმის დარღვევის შანსი არის?***

– თუ სასამართლო ადამიანურ მხარეს გაითვალისწინებს, საქმე დაუბრუნდება რუსთავის სასამართლოს. შედეგად შეიძლება, სააღმსრულებლო წარმოება შეჩერდეს.

***– ამ პროცესში დაზარალებულის ინტერესი როგორ ჩანს?***

– დაზარალებულის ინტერესი ამ ეტაპზე დაკმაყოფილებულია, მაგრამ ის 4 ათასი ლარი, რომელიც ჩინარიანს დაეკისრა, გადამეტებული თანხაა. მას მეტიც უნდოდა, მაგრამ მოსამართლემ 4 ათასი დაუკმაყოფილა. ძალიან ცუდი იქნება, თუ ამ ხნის ქალი ქუჩაში აღმოჩნდება. მოსარჩელის მიერ მითითებული 4 ათასი ლარი, რომელიც მოსამართლე მაია გიგაურმა ჩინარიანს დააკისრა გადასახდელად, გადამეტებული თანხაა.

* * *

ჩვენ მოსარჩელესთან გასაუბრებაც ვცადეთ, მაგრამ მან კარი მოგვიჯახუნა, საქმე უკვე გადაწყვეტილიაო. იმედია, სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები გაითვალისწინებენ, ერთი მხრივ, ვართანუშ ჩინარიანის რეალურ მდგომარეობას, მეორე მხრივ – დაზარალებულისთვის მიყენებულ რეალურ ზიანს და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ. შედეგად, მოხუცი ქალი ქუჩაში არ აღმოჩნდება.

# რატომ გადასცა მთავრობამ მსახიობ ბესო ბერულაშვილს თბილისში ბინა 1 ლარად

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ საქართველოს მთავრობამ მსახიობსა და იუმორისტ ბესო ბერულაშვილს ქალაქ თბილისში, კანდელაკის ქუჩა 6-ში მდებარე ბინა 9 – 140.22 კვ.მ ფართობის, აგრეთვე მასზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად – 1 ლარად საკუთრებაში გადასცა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ ბესო ბერულაშვილი 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" მხარდამჭერია და აქტიურად არის ჩაბმული საარჩევნო აგიტაციაში.

მთავრობის შესაბამისი განკარგულება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს" ვებგვერდზე 2016 წლის 20 სექტემბერს გამოქვეყნდა.

განკარგულება 1768 გამოცემულია 29 აგვისტოს.



ბესო ბერულაშვილმა ბინის სიმბოლური ფასი „ლიბერთი ბანკში" 7 სექტემბერს გადაიხადა, იმავე დღეს კი სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში იქნა წარდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ სარეგისტრაციო დოკუმენტებში მომსახურების ვადა 4 დღეა მითითებული, გადაცემულ ქონებაზე ბესო ბერულაშვილის საკუთრების უფლება მეორე დღესვე ანუ 8 სექტემბერს დარეგისტრირდა.

აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია პირველად კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გაავრცელა, რის შემდეგაც ამ ფაქტით სხვა მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ. საინფორმაციო პორტალ ამბები.გე-ს შეკითხვაზე ბესო ბერულაშვილმა განაცხადა:

– 7 წელია აქ ვცხოვრობ და თუ ვინმე არის ცნობილი სახე, მათ შეაგროვეს ხელმოწერები და სახელმწიფომ გადმომცა ეს ბინა საჩუქრად. რადგან მრავალსულიანი ოჯახი ვართ (იუმორისტის თქმით, ოჯახში 8 ადამიანია: ის, მისი მეუღლე, მათი შვილები სხვადასხვა ქორწინებიდან და შვილიშვილები), ხელოვნების სფეროს წარმომადგენლებმა სახელმწიფოს სთხოვეს, სიმბოლურ ფასად გადმოეცათ ეს ბინა ჩემთვის და ეკონომიკის სამინისტრომ გადმომცა. ჩემი ხელფასითა და ჰონორარით, სამწუხაროდ, ბინის ყიდვა შეუძლებელია.

* * *

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, მანამდე პირადად ბესო ბერულაშვილის სახელზე ირიცხებოდა მხოლოდ ქალაქ თბილისის თემქის დასახლებაში მდებარე 30.5 კვ.მ საცხოვრებელი ბინა (კვარტალი IX, კორპუსი 15), რომელიც მას მემკვიდრეობით აქვს მიღებული.

გარდა ამისა, მისი მეუღლე მაია უგრეხელიძე ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის დასახლებაში მდებარე 1 კორპუსში არსებული 148 კვ.მ ფართობის მქონე ბინის თანამესაკუთრეა და ფლობს 1/6 წილს.

ბესო ბერულაშვილიც და მისი მეუღლეც სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებენ. კერძოდ, ბესო ბერულაშვილი 2009 წლის 20 ოქტომბერს დარეგისტრირებულია ინდმეწარმედ; 2012 წლის 19 სექტემბრიდან არის შპს „მოძრავი ფილარმონია moving show"-ის 100% წილის მესაკუთრე, ხოლო 2015 წლის შპს „მოდერნ ჰაუსის" პარტნიორია და ფლობს 33% წილს. გარდა ამისა, იგი 2015 წლის 18 მარტიდან არის ა(ა)იპ „მოძრავი ფილარმონიის" დირექტორიც.

2012 წლის 11 ივნისიდან ინდმეწარმეა ბესო ბერულაშვილის მეუღლე მაია უგრეხელიძეც, რომლის საქმიანობაც მის საკუთრებაში არსებული ხსენებული ბინის მისამართზე რეგისტრირებული მაღაზიით შემოიფარგლება.

კახეთის საინფორმაციო ცენტრმა გამოარკვია, რომ ბესო ბერულაშვილი 2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისთვის პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნების" მხარდამჭერია და აქტიურად არის ჩაბმული საარჩევნო აგიტაციაში.

სოციალურ ქსელში განთავსებული ფოტომასალით დგინდება, რომ იგი სისტემატურად მონაწილეობს მმართველი პოლიტიკური ძალის მიერ კახეთის რეგიონში წარდგენილი მაჟორიტარობის კანდიდატების – ირაკლი სესიაშვილის, დავით სონღულაშვილისა და გელა სამხარაულის წინასაარჩევნო შეხვედრებსა და სხვადასხვა პიარღონისძიებაში.

**კახეთის საინფორმაციო ცენტრი**

# გიგი წერეთელი: „ქართულ ოცნებას" მაგრად უჭირს"

– ბიძინა ივანიშვილის განცხადებები ნაციონალურ მოძრაობაზე არის დამცველობითი რეაქცია იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას" რთული საარჩევნო ვითარება აქვს, – ასე გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობის წევრი გიგი წერეთელი ექსპრემიერ ბიძინა ივანიშვილის კრიტიკას.



წერეთლის თქმით, ივანიშვილის განცხადებები ნაციონალურ მოძრაობაზე ერთფეროვანია და მას სურვილი არ აქვს, ამასთან დაკავშირებით კომენტარები გააკეთოს.

– ვფიქრობ, ეს განცხადებები მხარდამჭერების რაოდენობაზე, სიცრუის ტირაჟირებაზე და სხვაზე არის დამცველობითი რეაქცია იმაზე, რომ „ქართულ ოცნებას" აქვს ძალიან რთული საარჩევნო ვითარება. ჩვენ ამას ვხედავთ.

განცხადებები იმაზე, რომ ვინმემ რამე არ გაბედოს, თითების ქნევა, რომ პროტესტი არ გამოხატოთ თუ ჩვენ დავწერთ რაიმე საარჩევნო შედეგებს, თორემ დაგიჭერთ, დაახლოებით კონოტაცია ეს არის, მე ვფიქრობ, ძალიან მძიმეა ეს ყველაფერი ხელისუფლებისთვის და კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ ხელისუფლება უნდა შეიცვალოს, – განაცხადა გიგი წერეთელმა.

**ინტერპრესნიუსი**

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „26 მაისის საქმე ჯერ კიდევ არ არის გამოძიებული“

გულიკო ბალაძე

**გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ 26 მაისის საქმე ჯერ კიდევ არ არის გახსნილი.**

***– ბატონო დიმიტრი, თქვენ ხართ იმ პარტიის სიის მეორე ნომერი, რომლის ლიდერი იყო 26 მაისის სასტიკად დარბეული აქციის ორგანიზატორი. პროკურატურამ გამოაქვეყნა ფირი, საიდანაც კარგად ჩანს, რა ბრძანებებს გასცემენ სააკაშვილის ნებართვით მაღალჩინოსნები მიტინგის მონაწილეების დაპატიმრების თაობაზე. თქვენც არაფრად მიიჩნევთ წარმოდგენილ ახალ მტკიცებულებას 25 მაისის საქმეზე?***

– 2011 წლის 26 მაისს ნინო ბურჯანაძე და დემოკრატიული მოძრაობის ლიდერები მოვლენათა ეპიცენტრში იყვნენ. შემდგომში ბევრმა მათგანმა განიცადა არაადამიანური ზეწოლა ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან. ვგულისხმობ საპოლიციო და სპეცდანიშნულების ძალებს, რომლებმაც ასეულობით ადამიანი ტყვედ აიყვანეს.

მათ სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიაყენეს ადამიანებს მასობრივად. რამდენიმე ადამიანი გარდაიცვალა. ფაქტები აღბეჭდილი იყო როგორც ვიდეოფირებზე, ასევე პრეზიდენტ სააკაშვილის ფოტოგრაფების, ბატონების აბდალაძისა და გედენიძის მიერ. ამას შემდგომში მათი თავისუფლება შეეწირა.

2012 წლის 1 ოქტომბერს ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ ძირითადი მოლოდინი იყო, რომ 26 მაისის დანაშაული გაიხსნებოდა. სააკაშვილსა და მისი რეჟიმის წარმომადგენლებს ჩადენილი ჰქონდათ დანაშაული როგორც უშუალოდ, ასევე ორგანიზების კუთხით.

***– ხელმძღვანელი პირების ნაწილი 26 მაისს მომხდარ დანაშაულებთან დაკავშირებით ხომ გასამართლდა?***

– მე ვსაუბრობ გლობალურად ამ საქმის გახსნაზე. 26 მაისის დანაშაული გახსნილად გამოცხადებული არ არის. შს მინისტრი სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე პასუხისგებაშია მიცემული. ეს არის წვეთი იმ დანაშაულებთან შედარებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა 26 მაისს. სახეზე გვაქვს დანაშაულების კასკადი და მკვლელობები.

მათ შორისაა მკვლელობა ორი ადამიანისა, რომლებსაც ცემით ამოხადეს სული. უკანონოდ თავისუფლების აღკვეთის 800 შემთხვევა, განზრახ მკვლელობები, ადამიანებისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთა, წამება გაცილებით მძიმე დანაშაულებია, ვიდრე უფლებამოსილების გადამეტება. ეს ისეთი დანაშაულებია, რომლისთვისაც ადამიანები პასუხისგებაში უნდა მიცემულიყვნენ.

800 კაცს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. ამ ადამიანებს შემდეგ სასაფლაოსა და ქუჩაში პოულობდნენ ახლობლები. ასეულობით ადამიანი აწამეს პოლიციის სამმართველოში.

ადამიანები პოლიციელებმა საკუთარ კაბინეტებში აწამეს. გაიხსენეთ მურმან დუმბაძის წამების ძალიან ცნობილი ფაქტი. არცერთი მწამებელი, არცერთი პროკურორი, რომლებიც ჩართული იყვნენ ამ პროცესში, პასუხისგებაში არ მიუციათ.

დემოკრატიული მოძრაობიდან 42 პირი პოლიტპატიმრად იქნა აღიარებული. ამ 42 ადამიანიდან არცერთი თავის უფლებებში არ აღუდგენიათ. მათი რეაბილიტაცია რეალურად არ მომხდარა. მათი განაჩენები არ გაუქმებულა. დღემდე ისინი დამნაშავეებად ითვლებიან, მიუხედავად იმისა, რომ 2012 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მათ პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა. ამ კადრების გამოჩენა თუ მხოლოდ იმას ემსახურება, რომ „ოცნებას“ თავისი ინტერესი ჰქონდეს დაკმაყოფილებული, არ ვიცი. ამიტომ ის, რომ 26 მაისის საქმე დღემდე გაუხსნელია, ფაქტია.

***– ამას რით ადასტურებთ?***

– ამის დასტურია ასეულობით ადამიანის 26 მაისს დარღვეული უფლებები, რომელიც არ აღმდგარა სრულყოფილად და ობიექტურად.

***– წარმოდგენილი ვიდეოფირი არის მნიშვნელოვანი მტკიცებულება, თუმცა ნაციონალები დღემდე აცხადებდნენ, სააკაშვილსა და მის ჩინოვნიკებს დარბევის ბრძანებები არ გაუციათო. ახლა, როცა გამოჩნდა მტკიცებულება, ამბობენ, ეს არაფერს ამტკიცებსო. თქვენც კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებთ წარმოდგენილ ფირს?***

– დარწმუნებული ვარ, კადრებში აღბეჭდილი თითოეული დეტალი ავთენტურია და მისი კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება არ შეიძლება. ეს არის რეალური კადრები. მსგავსი კადრი ძალიან ბევრი აქვთ ხელისუფლებასა და საგამოძიებო ორგანოებს. უბრალოდ, ასეთ ფაქტებზე დროულად უნდა მომხდარიყო რეაგირება.

თვითონ ხელისუფლება აღიარებს, რომ აპრილიდან აქვთ ეს კადრები მოპოვებული. აპრილიდან დღემდე 6 თვეა გასული. 6 თვის განმავლობაში დათა ახალაიას, ლევან ქარდავასა და ვასილ ლელუაშვილის იდენტიფიცირება





და დასკვნების გაკეთება ბევრად უფრო ადრე შეიძლებოდა.

მხოლოდ პოლიციის მაღალჩინოსნების ბრალეულობა კი არ უნდა იკვეთებოდეს, ერთ-ერთი მთავარი აქცენტი, რომელიც კეთდებოდა 26 მაისის საქმესთან დაკავშირებით, ისაა, რომ აქციის მონაწილეები ყველა მხრიდან ალყაშემორტყმული იყვნენ. მომიტინგეებს არცერთი მიმართულებით გადაადგილების საშუალება არ ჰქონდათ. ამისთვის პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრებოდა მერიის თვითმმართველობას.

***– მერიის წარმომადგენლები თავს იმართლებდნენ, რომ აქციის დარბევამდე მოსული იყვნენ გასაფრთხილებლად.***

– დარბევამდე 15 წუთით ადრე უგულავა მობრძანდა თავის მოადგილეებთან ერთად. ის დარწმუნებული იყო, რომ აქციის მონაწილეებს გასაქცევი არსაით ჰქონდათ, მოქცეული იყვნენ ალყაში და განწირული იყვნენ. ამაზე მერიას რეაგირება არ მოუხდენია.

***– რა რეაგირება უნდა მოეხდინა?***

– მერიის მაღალჩინოსნები, უგულავა და მისი მოადგილეები პასუხისმგებელი იყვნენ აქციის მშვიდობიან დაშლაზე, მომიტინგეებს კი არც ერთ მხარეს გასასვლელი არ ჰქონდათ. ისინი უნდა მიეცნენ პასუხისგებაში, რადგან წარმოადგენდნენ აქციის სასტიკი დარბევის თანამონაწილეებს.

უგულავა და მისი მოადგილეები მონაწილეობდნენ იმ ჯალათურ სამხედრო სპეცოპერაციაში, რომელიც მომიტინგეების წინააღმდეგ განახორციელა სააკაშვილის რეჟიმმა. ვინც დღეს (სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები) ამბობს, რომ წარმოდგენილი ვიდეომასალა არ არის ავთენტური და ექსპერტიზაზე უნდა გაიგზავნოს, მათი გულშემატკივარია და, როგორც ჩანს, კუჭი ეწვით იმაზე, პროცესი უფრო შორს არ წავიდეს.

***– როგორ აფასებთ იმ ფაქტს, რომ დღეს ნაცმოძრაობა არჩევნებში მონაწილეობს და ერთ-ერთი ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად ამომრჩეველს სთავაზობს ზონდერ ბასიშვილს? ამის შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ნაცმოძრაობა რამენაირად შეიცვალა ან გაიაზრა თავისი დანაშაული?***

– ნაცმოძრაობა და მისი საცეცები, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით არიან ცნობილი (იქნება ეს ვაშაძის სამოქალაქო პლატფორმა, „გირჩი“ თუ პაატა ბურჭულაძის „სახელმწიფო ხალხისთვის“), ერთი დანაშაულებრივი სინდიკატია ერთიანი ნაცმოძრაობის სახელწოდებით. ნაცმოძრაობის რეინკარნაცია, მისი ტრანსფორმაცია და სახეცვლილება შეუძლებელია, რადგან ის თავისი არსით არ გახლავთ პოლიტიკური პარტია.

ნაცმოძრაობა თავისი არსით დანაშაულებრივი სინდიკატია და ხელმძღვანელობს ერთადერთი ლოზუნგით: მიზანი ამართლებს საშუალებას. ასე მოქმედებდნენ აქამდე და იმოქმედებენ მომავალშიც, თუ საზოგადოება არ გამოფხიზლდა და კატეგორიული უარი არ უთხრა საარჩევნო პროცესში მონაწილეობაზე.

## საგამოძიებო სამსახურმა 100-მდე სათამაშო აპარატი ამოიღო

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა ქვეყნის მასშტაბით აზარტული თამაშებისთვის განკუთვნილი დიდი ოდენობით სათამაშო აპარატების უკანონოდ განთავსებისა და ფუნქციონირების ფაქტი გამოავლინა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურიდან აცნობეს, გამოძიებით დადგენილია, რომ თბილისში, გარდაბანში, რუსთავში, მარნეულში, ფოთსა და სენაკში ბაზრობებსა და ხალხმრავალ ადგილებზე სხვადასხვა პირს განთავსებული ჰქონდა სათამაშო აპარატები, რომელთა მეშვეობით მართავდნენ აზარტულ თამაშებს „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ნებართვის გარეშე და იღებდნენ დიდი ოდენობით უკანონო შემოსავალს.

– სათამაშო აპარატები წარმოადგენს ელექტრომექანიკურ მოწყობილობაზე მომუშავე ე.წ. სლოტ აპარატებსა და კუსტარულად დამზადებულ მოწყობილობას, რომელიც ქაღალდის კუპიურებისა და 20-თეთრიანი მონეტების გამოყენებით, შემთხვევითობის პრინციპით მოთამაშეს აძლევს მიზერულ მოგებას. საგამოძიებო სამსახურის მიერ ამოღებულა 100-მდე სათამაშო აპარატი, – ნათქვამია განცხადებაში.

საქმეზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 192-ე მუხლის პირველი ნაწილითა და 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით 7-დან 10 წლამდე.

**ინტერპრესნიუსი**

## რამდენად დაცულია საქართველოში შრომითი უფლებები?

212 გარდაცვლილი და 691 დაშავებული – ასეთია ბოლო 5 წლის განმავლობაში საწარმოო შემთხვევების დროს გარდაცვლილთა და დაშავებულთა ოფიციალური სტატისტიკა.

ძირითადი პრობლემები კი, რასაც მოქალაქეები დასაქმებისას აწყდებიან, მცირე ხელფასი, ხელშეკრულების არ არსებობა, დამატებითი საათები (ანაზღაურების გარეშე) და დამსაქმებლის დამოკიდებულება „არ გაწყობს, წადი“ არის.

– ხელშეკრულებაში მიწერია, 10-დან 18 საათამდე მუშაობა, მაგრამ რეალურად დილის 9-დან 19 საათამდე ვმუშაობ. გარდა ამისა, აღრიცხვის ჩატარება მხოლოდ თბილისის მასშტაბით მევალება, მაგრამ რეგიონებსაც მე ვაკეთებ და დამატებითი ანაზღაურებაც არ მაქვს, – ამბობს ერთ-ერთი კომპანიის ბუღალტერი 24 წლის მარიამი.

კერძო სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული 34 წლის ექთანი თამთა კი ამბობს, რომ სამსახურში, პირობების გაუმჯობესების მოთხოვნას აზრი არ აქვს, რადგან დამსაქმებლის მხრიდან პოზიცია არის, რომ „თუ არ გინდათ, შეგიძლიათ წახვიდეთ“.

აღსანიშნავია, რომ 2015 წლიდან ქვეყანაში შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მოქმედებს, თუმცა როგორც „ბიზნესპრესნიუსს“ საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე გოჩა ალექსანდრიამ უთხრა, მექანიზმი, რომელზეც ბიუჯეტიდან თანხა გამოიყოფა, არაეფექტური და ფორმალურია.

ალექსანდრიას თქმით, ინსპექციას არ აქვს უფლება საკუთარი სურვილით, კომპანიის დაუკითხავად და თანხმობის გარეშე შევიდნენ და შეამოწმონ რამდენადაა დაცული უსაფრთხოების წესები, ხოლო რაც შეეხება შრომით უფლებებს (ხელფასი, გრაფიკი, ზეგანაკვეთურის ანაზღაურება და ა.შ.) ამ მხრივ შემოწმების უფლებამოსილება ინსპექციას არ აქვს.

გარდა ამისა, ინსპექციას არ შეუძლია სანქციის, ჯარიმის დაწესება, შესაბამისად, დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში მხოლოდ კომპანიისთვის რეკომენდაციის მიცემით შემოიფარგლება, რომელიც კონფიდენციალურია.

– დამსაქმებლის ნება-სურვილზეა, შეუშვებს თუ არა ინსპექტორს კომპანიაში ან რამდენად გაითვალისწინებს მათ რეკომენდაციას. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ამ ეტაპზე ამ ორგანოს აღქმა სერიოზულად არასწორია. ერთადერთი შემთხვევა, როცა ინსპექციას უფლება აქვს დაუკითხავად შევიდეს საწარმოში, ტრეფიკინგზე ან იძულებით შრომაზე (იარაღით ან რაიმე სახის მუქარით იძულება) ეჭვია.

ამასთან, რასაც თვალყურს ვადევნებთ, სა-




წარმოო შემთხვევებში გარდაცვლილთა და დაშავებულთა რიცხვი მიმდინარე წლის განმავლობაში წინა წლებთან შედარებით დიდად განსხვავებული არ იქნება. რაც ასევე ადასტურებს უწყების არაეფექტურობას, – აღნიშნა ალექსანდრიამ.

მისივე ცნობით, 2016 წლის განმავლობაში საწარმოო შემთხვევებისას გარდაცვლილია 20-მდე და მძიმედ დაშავებულია (მკურნალობა 2 დღეზე მეტხანს რომ გრძელდება) 40-მდე ადამიანი.

რაც შეეხება წინა წლების სტატისტიკას, შს სამინისტროს ცნობით, საწარმოო შემთხვევების შედეგად 2011 წელს 54 ადამიანი გარდაიცვალა და 137 დაშავდა, 2012 წელს 48 გარდაიცვალა და 289 დაშავდა; 2013-ში – 23 გარდაცვლილი და 111 დაშავებული, 2014 – 45 გარდაცვლილი და 72 დაშავებული და 2015 წელს 42 გარდაცვლილი და 82 დაშავებული.

„ადამიანის უფლებათა მონიტორინგის ცენტრის“ იურისტი ლელა გვიშიანი კი შრომითი უფლებების კუთხით მოუწესრიგებელ კანონმდებლობასა და სამართლებრივ სისტემაზე საუბრობს და ამბობს, რომ ამ მხრივ ძირითადი პრობლემებია – საგამოძიებო თუ სასამართლო პროცესის დროში გაწელვა.

გვიშიანი აღნიშნავს, რომ სასამართლო შრომითი უფლებების დარღვევისას ეფექტურ მექანიზმად ვერ აღიქმება, რადგან სერიოზულ ფინანსები და დრო სჭირდება. კიდევ უფრო მძიმეა ვითარება, თუ საწარმოო შემთხვევისას პირი გარდაიცვლება, რადგან უმეტეს შემთხვევებში ბრალის წაყენება სწორედ მისთვის (გარდაცვლილისთვის) ხდება.

დეპარტამენტისთვის უფლებამოსილების გაფართოების საჭიროებაზე საუბრობს ჯანდაცვის სამინისტროს დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ელზა ჯგერენაია, რომელიც „ბიზნესპრესნიუსთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ ინსპექცია განვითარების პირველად, საწყის ეტაპზეა და სანქციების, ჯარიმების ბერკეტი კი მას უფრო ეფექტურს გახდის.

– კანონპროექტი, რომელიც ინსპექციას სავალდებულოს გახდის და სანქციების დაწესების უფლებასაც მისცემს, უკვე შემუშავებულია, – აღნიშნავს ჯგერენაია.

მისივე ცნობით, 2015 წლიდან დღემდე ინსპექციამ 254 კომპანია შეამოწმა, აქედან 30-ზე მეტი იყო საჯარო ანუ სახელმწიფო დაწესებულება და მხოლოდ ერთეული შემთხვევები იყო, როცა კომპანიამ ინსპექტორები შემოწმებაზე არ დაუშვა.

ძირითადი დარღვევები კი რაც გამოვლინდა არის – ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გაუმართაობა, ელექტროუსაფრთხოება, სავენტილაციო სისტემა, ინდივიდუალური და კოლექტიური დაცვის საშუალებები და ა.შ.

ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ავალდებულებს სახელმწიფოს, 2016 წლის ბოლომდე შესაბამისი კანონპროექტი პარლამენტში შევიდეს.

ბიუჯეტიდან შრომის ინსპექციის დეპარტამენტისთვის 2015 წელს – 4 მილიონი ლარი, 2016 წელს კი 4 მილიონ 25 ათასი ლარი გამოიყო.

**ინტერპრესნიუსი**

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ერდოღანი: „ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია“



თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ყირიმი უკრაინის განუყოფელი ნაწილია.

– ჩვენ უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას უპირობოდ ვცნობთ. ყირიმი უკრაინის ნაწილია, – აღნიშნა თურქეთის პრეზიდენტმა.

# ჯონ ქერი: „სირიაში სამხედრო ავიაციის ფრენა უნდა აიკრძალოს“




აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე გამოვიდა. მან განაცხადა, რომ სირიაში სამხედრო თვითმფრინავების ფრენა უნდა აიკრძალოს.

– ასადის რეჟიმი მშვიდობიან შესვენებას თავის პოლიტიკურ ოპონენტებთან ბრძოლისთვის იყენებს. ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით ასადი მშვიდობიან ობიექტებს, მათ შორის სკოლებსა და საბავშვო ბაღებს, ბომბავს, – თქვა ქერიმ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა გააკრიტიკა რუსეთი.

– რუსეთი არა ტერორისტებს, არამედ ასადის მოწინააღმდეგეებს ებრძვის. პუტინს არა მშვიდობა, არამედ ასადის მტრების განადგურება სურს, – განაცხადა ქერიმ.

– მშვიდობის შენარჩუნებაზე პასუხისმგებლები ვართ ყველა, მათ შორის ამერიკელებიც, – აღნიშნა ლავროვმა.

# შეტაკებები კონგოში



კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არეულობაა. ქვეყნის დედაქალაქ კინშასას ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოვიდა. ისინი პრეზიდენტისაგან არჩევნების თარიღის გამოცხადებას მოითხოვენ.

მანიფესტანტებსა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა.

დაღუპულია ასამდე ადამიანი.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ანჯელინა ჯოლი ბრედ პიტს შორდება



ამერიკელმა მსახიობმა ანჯელინა ჯოლიმ ბრედ პიტთან განქორწინების თხოვნით განცხადება შეიტანა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მსახიობი უკმაყოფილოა იმით, თუ როგორ ართმევს თავს მშობლის მოვალეობას მისი მეუღლე. ის სასამართლოს სთხოვს, მას დააკისროს ექვს ბავშვზე ზრუნვა, ხოლო პიტს მათი დასვენების დღეებში მონახულების უფლება დაუტოვოს.

ერთ-ერთი გამოცემის ცნობით, ჯოლისა და პიტს შორის „შეურიგებელი უთანხმოება“ წარმოიშვა. ამავე დროს, ცნობილი გახდა, რომ განქორწინების პროცესის დაწყება ვინმე „მესამე პირს“ არ უკავშირდება.

შეგახსენებთ, რომ 41 წლის ჯოლი და 52 წლის პიტი სამ ნაშვილებ ბავშვს ზრდიან: კამბოჯელ მედოქსს, ვიეტნამელ პაქსსა და ეთიოპელ ზახარს. წყვილს ასევე სამი ბიოლოგიური შვილი ჰყავს: გოგონა შაილო, ტყუპები ნოკსი და ვივიენი.

# ბრიტანელმა გამყიდველმა, ძარცვის მიუხედავად, ჩაის სმა არ შეწყვიტა



ბრიტანეთის ქალაქ კინგსტონ-აპონ-ჰალის მაღაზიის მფლობელმა დახლში 18- სანტიმეტრიანი დანით შეჭრილი მძარცველი გააოგნა.

კარამჟიტ სანგას თქმით, ის დახლთან იჯდა და ჩაის სვამდა, როდესაც შენობაში შეიარაღებული მამაკაცი შეიჭრა.

– მან მიბრძანა, რაც მქონდა, მთელი ფული მისთვის მიმეცა, მაგრამ მე სიმშვიდე არ დამიკარგავს და ვუპასუხე, რომ ჩაის ვსვამდი, – განაცხადა ქალბატონმა.

მას შემდეგ, რაც ბოროტმოქმედმა ისევ უბრძანა, მისთვის ფული გადაეცა, ქალმა უპასუხა: „კარგი“, შემდეგ თავისი დანა აიღო და მძარცველის სახის წინ დაიწყო ქნევა.

– მე მისთვის ტკივილს მიყენება არ მსურდა, მაგრამ ეს საკმარისი აღმოჩნდა მის შესაშინებლად. მას ჯერ კანკალი აუვარდა, შემდეგ კი გაიქცა, – განაცხადა სანგამ.

პოლიციამ სწრაფად დააკავა ეჭვმიტანილი. ის აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრები სტიუარტ გლისონი. საქალაქო სასამართლომ ის ძარცვის მცდელობაში, ცივი იარაღის ტარებასა და ყალბი ფულის შენახვაში დამნაშავედ ცნო და ხუთი წლით პატიმრობა მიუსაჯა.

# მალაიზიელმა სამი კვირა სინგაპურის აეროპორტში იცხოვრა




სამი კვირის განმავლობაში მალაიზიელი მამაკაცი სინგაპურის აეროპორტში ცხოვრობდა.

33 წლის რეიჯალი ბუნტუტი კუალა-ლუმპურში (ფილიპინები) მიმავალ ავიარეისზე ვერ მოხვდა და 18 დღით ჩანგის აეროპორტში დარჩა. მამაკაცს ეძინა სავარძლებზე, საკვებს ლაუნჯ-ზონაში იღებდა, ხოლო შხაპს – ტერმინალებში.

სატრანზიტო ზონაში ყოფნისას ყოფილმა ბიზნესმენმა 31 ჩასაჯდომი ტალონი გააყალბა. ამგვარად ის ახერხებდა, სამი ტერმინალის ლაუნჯ-ზონებით ესარგებლა. ერთ-ერთმა თანამშრომელმა შენიშნა, რომ ბუნტუტი ხშირად იმყოფებოდა ტერმინალში და ამის შესახებ პოლიციას აცნობა. საქმის განხილვის შედეგად მალაიზიელს ორკვირიანი პატიმრობა მიესაჯა.

# არასრულწლოვანმა შოტლანდიელმა სასმელისთვის თავი დედად გაასაღა



შოტლანდიის საუთ-ერშირის ოლქში არასრულწლოვანმა ალკოჰოლური სასმელი დედის საბუთის დახმარებით შეიძინა. მისი ფოტოსურათი ადგილობრივმა გამოცემამ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

აღსანიშნავია, რომ მოზარდის ვინაობა უცნობი დარჩა, თუმცა ფოტოზე, რომელზეც მისი მშობლის პირადობის მოწმობაა ასახული, მისი მონაცემებია მითითებული. დედის სახელია ჯოანა ელიოტი. თავად მოზარდი გამოწყობილი იყო კაბაში, ქალის პალტოში, სათვალეებსა და ქუდში. ამის წყალობით მან რამდენიმე ბოთლი ალკოჰოლური სასმელის შეძენა მოახერხა.

ფეისბუქში გამოქვეყნებულმა კადრებმა 23 ათასზე მეტი მოწონება მიიღო.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# სინგაპურის „ფორმულა 1“-ის ტრასაზე ვარანი გამოჩნდა



„ფორმულა 1“-ში სინგაპურის გრან-პრის რბოლისთვის მზადების დროს ტრასაზე გიგანტური ვარანი გამოჩნდა.

იმ მომენტში, როდესაც სავარჯიშო სესიას ჰოლანდიელი პილოტი მაქს ფერსტაპენი ატარებდა, გზაზე გიგანტურმა ხვლიკმა დაიწყო გადასვლა. აღსანიშნავია, რომ მრბოლელს ყოველი მორიგი წრის გავლისას მისთვის გვერდის ავლა უხდებოდა, ვიდრე ცხოველმა თავად არ მიაღწია გზის პირს.

ტრასაზე გამოსული ვარანის ფოტოსურათი ტვიტერში „ფორმულა 1“-ის აკაუნტში იქნა გამოქვეყნებული. ინტერნეტის მომხმარებელთა უმეტესობა დადებითად გამოეხმაურა ტრასაზე გიგანტური ხვლიკის გამოჩენას და მას შეჯიბრების მოყვარულთა საყვარელი არსება უწოდეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ნანა ქიბროწაშვილი - ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი, ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრებია და ქმედებები, ეჭვიანობა,ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი,ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7 . ტელ: 599-498-423 ნანა.. მიღება 12-დან 15 სთ-მდე წინასწარი ჩაწერით .

● ალკოჰოლიზმისადანარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

● უცხოეთში კვალიფიცირებული ექიმი-პედიატრი, გთავაზობთ სხვადასხვა სახის, ზოგადი პროფილის, ასევე ყველა ასაკის ბავშვთა მასაჟს. ვმუშაობ სხეულის კორექციაზეც ვაკუუმ-მასაჟის მეთოდით. მსურველებს, საჭირო კურსის ჩატარების შემდეგ, ექნებათ ლიპოსაქციის ეფექტი. 599 48-66-39.

**მკურნალობა მამაკაცებისთვის!**

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);
2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);
3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;
4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);
5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: ალმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ჯანო ანანიძე: „მამის გარდაცვალების შემდეგ არჩევანს ჩემით ვაკეთებ“

საქართველოს ნაკრებისა და მოსკოვის სპარტაკის ნახევარმცველმა ჯანო ანანიძემ რუსული პრემიერლიგა ძალიან შედეგიანად დაიწყო და უკვე 4 გოლი აქვს გატანილი. ამდენი გოლი ჯანოს აქამდე არც ერთ სეზონში არ გაუტანია, არადა, მიმდინარე სეზონი ახლახან დაიწყო.

ცხადია, ჯანოს ხშირად აწუხებენ რუსი ჟურნალისტები.

*– ქობულეთი პატარა ქალაქია?*

– დიახ. მოსახლეობა დაახლოებით 30.000 შეადგენს და ყველა ერთმანეთს იცნობს. ყოველ დილას მამასთან ერთად სავარჯიშოდ ზღვასთან ახლოს მივდიოდით. ზამთარშიც კი, როცა ძალიან ციოდა. გზადაგზა ახლობლებს ვხვდებოდით – დილის 7 საათზე ვიღაც გაჩერებაზე იდგა და ტრანსპორტს ელოდებოდა. ჩვენ გვერდით რომ ჩავივლიდით, ხმა გვესმოდა – ამირან, ნუ აწვალებ ჯანოს. დაიძინოს ბავშვმა, ასე დილაადრიან სად მიგყავს? მამა კი პასუხობდა – დიდ გეგმებს ერთად ავაშენებთ. მამა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ თუ ფეხბურთი აირჩიე, მაშინ მას ბოლომდე მიყევი. თუ ამას არ გააკეთებ, ცხოვრება გაგიჭირდებაო.

*– გახსოვს, როდის მოირგე პირველი ბუცები?*

– მაშინ 6-7 წლის ვიყავი. მამა იმ დროს მწვრთნელად მუშაობდა, მის გუნდს თბილისში თამაში ჰქონდა. მატჩის შემდეგ გვიან სახლში დაბრუნდა. დედამ გამაღვიძა და თვალის გახელისას ჩემს წინ წითელი ბუცები დავინახე. ჩავიცვი, ოთახში გავირბინე, შემდეგ კი ამ ბუცებითვე დავიძინე. ეს საუკეთესო საჩუქარი იყო. მრავალი წელი გავიდა, მე კი დღესაც მახსოვს პირველი ბუცის ისტორია.

*– გამოდის, ფეხბურთისადმი სიყვარული მამამ შეგძინა.*

– დიახ. რომ არა ის, არ ვიცი, შევძლებდი თუ არა ფეხბურთელობას. ცნობისთვის, მამა საოცარი ტექნიკის პატრონი იყო. ვფიქრობ, მისგან გადმომედო მეც, მაგრამ მეგობრები დღესაც მეუბნებიან, მამაშენი შენზე ბევრად ძლიერი იყოო. იციან კიდეც, მას რომ დღეს ეთამაშა, აუცილებლად ტოპ-კლუბში მოხვდებოდა. მე თუ წარმატების მიღწევაში მამა მეხმარებოდა, მას არავინ დახმარებია. წარმოიდგინეთ, მის მშობლებს ფეხბურთი საერთოდ არ აინტერესებდათ. მამამ ფეხბურთელობა თავისით ისურვა და თამაშზე ოცნებობდა. მას ეს გამოუვიდა კიდეც! ბაბუა კი ამ დროს სხვა საქმეებით იყო დაკავებული.

*– ბაბუა ყოფილა ფეხბურთზე?*

– ერთხელ მამის თამაშზე მივიდა. რამდენიმე წუთი უყურა თამაშს, რის შემდეგაც სტადიონი დატოვა, ეს საჩემო არ არისო. რას ვიზამთ, არ მოსწონს ფეხბურთი. ეროვნულ ნაკრებშიც კი, როცა თბილისში მიწევს თამაში, არ ჩამოდის. 83 წლისაა, ქობულეთში ცხოვრობს. სახლში მანდარინების მოსავალს აგროვებს. საქართველოში მანდარინი ისე იზრდება, როგორც რუსეთში ვაშლი.

*– შენ რა, მანდარინებიც მოგყავს?*

– არა, არ შემიძლია, მხოლოდ ბაბუას მოჰყავს. თავისი „ტექნიკა“ აქვს. განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს, მაგრამ ცოდნას საჭიროებს ეგეც.

*– როცა ბაბუამ გაიგო, რომ მოსკოვის სპარტაკში ითამაშებდი, რა გითხრა?*

– განსაკუთრებული არაფერი. მშვიდად შეეგება ამ ამბავს. ახლობლებს გაუხარდათ. ხშირად, საქართველოში ჩასვლისას, ნაცნობები მეკითხებიან: როგორია მოსკოვი? კარგი ქალაქია? ქობულეთის შემდეგ როგორ გრძნობ იქ თავს? „იუთუბზე“ ყველა უყურებს ვიდეოებს, რუსეთით ინტერესდებიან, დედაქალაქის ნახვა საკუთარი თვალებით სურთ, ასევე კრემლისაც.

*– მეგობრებს რას უყვები მოსკოვზე?*

– ვეუბნები, რომ მოსკოვზე ვგიჟდები. ოჯახთან ერთად თავს აქ კომფორტულად ვგრძნობ. მეგობრები თუ ჩამოდიან საქართველოდან, სიამოვნებით ვმასპინძლობთ. ამას წინათ, მეუღლის მეგობარი ჩამოვიდა. ისე მოეწონა აქაურობა, შინ დაბრუნება



აღარ სურდა. რუსეთში საქმროს საძებნად ჩამოვიდა.

*– საქართველოში ყველა გცნობს, მოსკოვში?*

– აქაც. ქალაქში ყოფნისას დღის მანძილზე ვიღაც აუცილებლად მცნობს და ავტოგრაფს მთხოვს, ხოლო სპორტული ტანსაცმლის მაღაზიაში შესულს დიდი ხნის გატარება მიწევს, სანამ ყველა მსურველს ატრიბუტიკაზე ხელს მოვუწერ. ცოტა ხნის წინ შვილთან ერთად ზოოპარკი მოვინახულე: სპარტაკის გულშემატკივრები იყვნენ და ფოტოების გადაღება გვთხოვეს. არა მარტო ჩემთან, არამედ ჩემს შვილთანაც გადაიღეს ფოტოები.

*– როგორია ამ ეტაპზე შენი ჯანმრთელობა?*

– მადლობა უფალს, კარგად ვარ და არაფერი მტკივა. თვითონაც კი არ მჯერა! როსტოვში ნემსებით ვთამაშობდი. ასე ვითამაშეთ თასის ფინალიც, რომელშიც გავიმარჯვეთ. ისეთი ექიმი არ ჩანდა, რომელიც სწორ დიაგნოზს დამისვამდა. იტალიურ კლინიკაშიც კი არ მოინახა ვინმე ასეთი. მუდმივი ტკივილები ხელს მიშლიდა თამაშში. მაგრამ საოცრება მოხდა: ჩვენმა სამედიცინო შტაბმა კიდევ ერთი ვარიანტის მოსინჯვა გადაწყვიტა. ეს ჩემი ბოლო შანსი იყო.

*– და ფინეთში გაემგზავრე.*

– დიახ, პროფესორ ორავთან. ვერ დაიჯერებთ, მან ფოტოც კი არ გადაიღო. მტკივნეულ ადგილას ხელი მიმადო და იმწამსვე საოპერაციო მაგიდისკენ მიმითითა.

*– საბედნიეროდ, ახლა კარგად ხარ.*

– ასეა, მაგრამ თუ ერთ თამაშს გამოვტოვებ, ეგრევე წერენ, ჯანოს ისევ ტრავმა აქვსო. მაგრამ ასე არაა. რეალურად, არ ვარ ტრავმებისადმი მიდრეკილი ფეხბურთელი. 9 წლის განმავლობაში 2 ოპერაცია მაქვს გაკეთებული, რაც ფეხბურთელისთვის არაა ბევრი. მაგალითად, კუნთებთან დაკავშირებით პრობლემები იშვიათად მაქვს. ალბათ, როდესაც არ ვთამაშობ, ყველას ჰგონია, რომ ტრავმა მაქვს.

*– შეგიძლია მაგალითი მოიყვანო?*

– მოსკოვში ბენფიკასთან გვქონდა მატჩი. კარგად ვითამაშე. მომდევნო 3 შეხვედრაში კი განაცხადშიც ვეღარ მოვხვდი. ხალხმაც დაიწყო: მას ისევ რაღაც სტკივა. რეალურად კი მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო და შემადგენლობაში არ მაყენებდნენ.

*– კარიერის განმავლობაში, ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი გოლია?*

– ალბათ პირველი გოლი რუსეთის ჩემპიონატში. საინტერესოა, რომ ლოკომოტივს გავუტანე. მაშინ მათ გუნდში მალხაზ ასათიანი თამაშობდა. მან მითხრა – თავით არავის კარში არ დაგირტყამს, ახლა კი ჩვენ გაგვიტანეო. მაშინ 17 წლის ვიყავი. ამ გოლით რეკორდი დავამყარე. ჯერჯერობით, სპარტაკელთა ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელი ვარ, რომელმაც ჩემპიონატში გოლის გატანა შეძლო. სასიამოვნო იყო.

*– ლოკომოტივისთვის არაერთხელ გაგიტანია.*

– დიახ. გლუშაკოვი, რომელიც ადრე ლოკომოტივში თამაშობდა, მეხუმრებოდა: თავი მოგვაბეზრე უკვე, მუდმივად გაგაქვსო. ამ გუნდთან ყოველთვის საინტერესო მატჩები გამოდის იმიტომ, რომ ლოკომოტივი, ისევე, როგორც სპარტაკი, ღია ფეხბურთს თამაშობს.

*– ის, რომ სპარტაკი კარგ ფორმაშია, კარერას დამსახურებაა?*

– შესაძლოა. ის ჩვენს მოტივირებას კარგად ახერხებს, კარერა ტემპერამენტიანი იტალიელია. მისი დარიგებები ყოველთვის ემოციურია. იცის სწორი სიტყვების შერჩევა.

*– მილიონი ევრო რომ მოგეგო, რაში დახარჯავდი?*

– ალბათ მოსკოვში ბინას შევიძენდი. ამაზე ვოცნებობ. დარჩენილ თანხას კი იმ ბავშვების მკურნალობას მოვახმარდი, ვისაც ეს სჭირდება. რამდენიმე დღის წინ წავიკითხე, საქართველოში პატარა ბავშვს ძვირადღირებული ოპერაცია სჭირდებოდა. ვეცადე, დავხმარებოდი. არ მიყვარს ამაზე საუბარი, მაგრამ რახან დავიწყეთ... არაერთხელ დავხმარებივარ. მართალია, ძალიან დიდ თანხებს არ ვრიცხავდი, მაგრამ...

*– იცით იმათი ბედი, ვისაც ურიცხავდით?*

– ერთ ისტორიას მოგიყვებით. ერთხელ ავსტრიაში გამგზავრებამდე ქართულ ვებგვერდზე შევედი და ასეთ ამბავს წავაწყდი: მამა თავის ვაჟზე წერდა. შვილი გვიან ღამით ფეხბურთს უყურებდა, დილის 4 საათზე კი გონება დაკარგაო. გაირკვა, რომ ბავშვი სასწრაფო ოპერაციას საჭიროებდა. ჩემი მეუღლე იმ პერიოდში საქართველოში იმყოფებოდა. დავურეკე და ვუთხარი – ახლა თანხას გადმოვრიცხავ, რომელსაც მალე ერთი კაცი მოაკითხავს. შემდეგ კი იმ ბავშვის მამას დავურეკე. არ მითქვამს, ვინ ვარ. უბრალოდ ვუთხარი, რომ ფეხბურთელი ვარ და ძალიან მსურს, მის ოჯახს დავეხმარო. მან მადლობა გადამიხადა და ატირდა. გაოცებული იყო. ის ბავშვი გამოკეთდა და დაავადება დაამარცხა. ცოტა ხნის წინ მას პირადადაც შევხვდი, თავს კარგად გრძნობს, მისი ოჯახი კი ყველა დღესასწაულს გვილოცავს. კეთილი ხალხია.

*– ყველაზე ბედნიერი დღე შენს ცხოვრებაში.*

– დღე, როდესაც მამა გავხდი. რამდენიმე დღეში როსტოვთან ერთად თასის ფინალი მიწევდა და ამ მატჩისთვის ვემზადებოდი. 2 მაისს დილის 7 საათზე დამირეკეს, გოგო გეყოლაო. საუკეთესო გრძნობა იყო. სიხარულისგან მეშვიდე ცაზე ვიყავი, როდესაც დედამიწას მია მოევლინა, რამდენიმე დღეში კი თასიც მოვიგე.

*– ყველაზე სამწუხარო?*

– მამის დაკარგვის დღე. მამამ თურქეთში ოპერაცია გაიკეთა და იქ ნახევარი წელი უნდა ემკურნალა. მაგრამ 4 თვეში ჩამოვიდა, თავს კარგად ვგრძნობო. ყველაფერი მართლაც კარგად იყო, სანამ ვირუსი არ შეხვდა. მისთვის ავადმყოფობა არ შეიძლებოდა. სიცხე მისცა. მალევე გული გაუჩერდა.

ამ დროს ბაზაზე ვიყავი. ვიგრძენი, რომ ყველაფერი რიგზე არ იყო. დედას დავურეკე, ყველაფერი ნორმალურად არისო. შემდეგ კი მამის მეგობარმა შემატყობინა, რომ ის აღარაა. მაგრამ ეს ცხოვრებაა.

*– მამა ძალიან გაკლია?*

– რა თქმა უნდა. მამა გვერდით რომ იყოს, ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. მჯერა, ზემოდან ყველაფერს ხედავს. ახლა არჩევანს ჩემით ვაკეთებ. თამაშის ასევე გაგრძელება მსურს. ჩემი მიზანი ძირითადში ადგილის დამკვიდრებაა. მსურს, სპარტაკთან ერთად ტიტული მოვიგო. ეს ჩემი მშობლიური გუნდია – აქ გავიზარდე და ჩვენი გულშემატკივრის გახარებაზე ვოცნებობ. ისინი ამას იმსახურებენ.

## ფრანს ფუტბოლი ძველ სისტემას უბრუნდება




მიმდინარე წლიდან ყოველკვირეული პოპულარული ფრანგული გამოცემა ფრანს ფუტბოლი „ოქროს ბურთს“ ჟურნალისტების ხმის მიცემის შემდეგ გადასცემს და ფინალისტთა სამეულზე უარს იტყვის.

ფრანგულმა გამოცემამ ფიფასთან თანამშრომლობის შეწყვეტის შემდეგ ახალი წესები გამოაცხადა.

ფრანს ფუტბოლი პრიზის გადაცემის ძველ ფორმატს დაუბრუნდა: გამარჯვებულს სპორტული ჟურნალისტების ხმის მიცემა გაარკვევს. პრეტენდენტთა სიაში 30 ფეხბურთელი შევა და არა 23, როგორც ეს ადრე იყო. გამოცემამ უარი თქვა ფინალისტთა სამეულზე – გამარჯვებულს ერთი კენჭისყრის შედეგებით გამოავლენენ, ხოლო გამარჯვებულს და სრულ რეიტინგს წლის ბოლომდე გამოაცხადებენ.

ჟურნალი საუკეთესო ფეხბურთელს 1956 წლიდან 2009 წლამდე ასახელებდა ჟურნალისტების გამოკითხვის შედეგად.

2010 წლიდან ამ საქმით ფიფა დაკავდა. გამარჯვებული ირკვეოდა ეროვნული ნაკრების კაპიტნებისა და მთავარი მწვრთნელების ხმის მიცემით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## შედეგები

**21 სექტემბერი**
**ფეხბურთი**

**ინგლისი. ლიგის თასი**

ვესტ ჰემი-აკრინგტონი ... 1:0
ქპრ-სანდერლენდი ... 1:2
ნორტჰემპტონი-მანჩესტერი ... 1:3
საუთჰემპტონი-კრ.პალასი ... 2:0
სუონსი-სიტი ... 1:2
ფულემი-ბრისტოლი ... 1:2
სტოკი-ჰალი ... 1:2
ტოტენჰემი-ჯილინგემი ... 5:0

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

რეალი-ვილიარეალი ... 1:1
სელტა-ხიხონი ... 2:1
ბარსელონა-ატლეტიკო ... 1:1
გრანადა-ბილბაო ... 1:2
სოსიედადი-ლას პალმასი ... 4:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რეალი | 5 | 4 | 1 | 0 | 13-4 | 13 |
| 2.სევილია | 5 | 3 | 2 | 0 | 10-6 | 11 |
| 3.ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 14-6 | 10 |
| 4.ატლეტიკო | 5 | 2 | 3 | 0 | 11-2 | 9 |
| 5.ლას პალმასი | 5 | 3 | 0 | 2 | 12-9 | 9 |
| 6.ვილიარეალი | 5 | 2 | 3 | 0 | 6-3 | 9 |
| 7.ბილბაო | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| 8.სოსიედადი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 9.ეიბარი | 5 | 2 | 1 | 2 | 6-6 | 7 |
| 10.ხიხონი | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| 11.ალავესი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| 12.დეპორტივო | 4 | 1 | 2 | 1 | 2-2 | 5 |
| 13.მალაგა | 5 | 1 | 2 | 2 | 5-7 | 5 |
| 14.ბეტისი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-11 | 5 |
| 15.ლეგანესი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-7 | 4 |
| 16.სელტა | 5 | 1 | 1 | 3 | 3-8 | 4 |
| 17.ესპანიოლი | 4 | 0 | 2 | 2 | 7-11 | 2 |
| 18.ოსასუნა | 4 | 0 | 2 | 2 | 3-8 | 2 |
| 19.გრანადა | 5 | 0 | 2 | 3 | 6-12 | 2 |
| 20.ვალენსია | 4 | 0 | 0 | 4 | 5-10 | 0 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

უესკა-ელჩე ... 0:3
ლევანტე-სევილია ბ ... 1:0
მურსია-ალმერია ... 4:0

**გერმანია. ბუნდესლიგა**

ბაიერნი-ჰერტა ... 3:0
ლევერკუზენი-აუგსბურგი ... 0:0
შალკე-კიოლნი ... 1:3
ვერდერი-მაინცი ... 1:2
ლაიპციგი-გლადბახი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-1 | 12 |
| 2.კიოლნი | 4 | 3 | 1 | 0 | 8-1 | 10 |
| 3.დორტმუნდი | 4 | 3 | 0 | 1 | 13-3 | 9 |
| 4.აინტრახტი | 4 | 3 | 0 | 1 | 5-2 | 9 |
| 5.ჰერტა | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| 6.ლაიპციგი | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 8 |
| 7.მაინცი | 4 | 2 | 1 | 1 | 10-8 | 7 |
| 8.გლადბახი | 4 | 2 | 1 | 1 | 8-6 | 7 |
| 9.ფრაიბურგი | 4 | 2 | 0 | 2 | 5-6 | 6 |
| 10.ვოლფსბურგი | 4 | 1 | 2 | 1 | 3-5 | 5 |
| 11.ჰოფენჰაიმი | 4 | 0 | 4 | 0 | 7-7 | 4 |
| 12.ლევერკუზენი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| 13.აუგსბურგი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-6 | 4 |
| 14.დარმშტადტი | 4 | 1 | 1 | 2 | 2-9 | 4 |
| 15.ინგოლშტადტი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |
| 16.ჰამბურგი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| 17.შალკე | 4 | 0 | 0 | 4 | 1-8 | 0 |
| 18.ვერდერი | 4 | 0 | 0 | 4 | 3-14 | 0 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

აუე-არმინია ... 1:1
ჰანოვერი-კარლსრუე ... 1:0
კაიზერი-დინამო ... 3:0
ვურცბურგერი-უნიონი ... 0:1

**იტალია. სერია ა**

ბოლონია-სამპდორია ... 2:0
კიევო-სასუოლო ... 2:1
ემპოლი-ინტერი ... 0:2
ჯენოა-ნაპოლი ... 0:0
იუვენტუსი-კალიარი ... 4:0
პესკარა-ტორინო ... 0:0
რომა-კროტონე ... 4:0
უდინეზე-ფიორენტინა ... 2:2
ატალანტა-პალერმო ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.იუვენტუსი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2.ნაპოლი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-5 | 11 |
| 3.რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 13-5 | 10 |
| 4.კიევო | 5 | 3 | 1 | 1 | 7-4 | 10 |
| 5.ინტერი | 5 | 3 | 1 | 1 | 7-5 | 10 |
| 6.მილანი | 5 | 3 | 0 | 2 | 8-7 | 9 |
| 7.ბოლონია | 5 | 3 | 0 | 2 | 7-9 | 9 |
| 8.ჯენოა | 4 | 2 | 1 | 1 | 6-4 | 7 |
| 9.ლაციო | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 10.ფიორენტინა | 4 | 2 | 1 | 1 | 5-4 | 7 |
| 11.უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 6-8 | 7 |
| 12.სამპდორია | 5 | 2 | 0 | 3 | 5-7 | 6 |
| 13.სასუოლო | 5 | 2 | 0 | 3 | 5-8 | 6 |
| 14.ტორინო | 5 | 1 | 2 | 2 | 8-6 | 5 |
| 15.პესკარა | 5 | 1 | 2 | 2 | 6-7 | 5 |
| 16.პალერმო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-6 | 5 |
| 17.კალიარი | 5 | 1 | 1 | 3 | 7-11 | 4 |
| 18.ემპოლი | 5 | 1 | 1 | 3 | 2-6 | 4 |
| 19.ატალანტა | 5 | 1 | 0 | 4 | 6-11 | 3 |
| 20.კროტონე | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნიცა-მონაკო ... 4:0
ლიონი-მონპელიე ... 5:1
ბასტია-ნანსი ... 0:0
ანჟე-კაენი ... 2:1
ნანტი-სტ.ეტიენი ... 0:0
გენგამი-ლორიანი ... 1:0
მეცი-ბორდო ... 0:3
რენი-მარსელი ... 3:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნიცა | 6 | 4 | 2 | 0 | 11-4 | 14 |
| 2.პსჟ | 6 | 4 | 1 | 1 | 15-4 | 13 |
| 3.მონაკო | 6 | 4 | 1 | 1 | 13-8 | 13 |
| 4.ბორდო | 6 | 4 | 0 | 2 | 11-8 | 12 |
| 5.ტულუზა | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 6.გენგამი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-6 | 11 |
| 7.ლიონი | 6 | 3 | 1 | 2 | 13-8 | 10 |
| 8.რენი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 9.მეცი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-8 | 10 |
| 10.სტ.ეტიენი | 6 | 2 | 3 | 1 | 7-5 | 9 |
| 11.ანჟე | 6 | 3 | 0 | 3 | 6-6 | 9 |
| 12.ბასტია | 6 | 2 | 1 | 3 | 5-5 | 7 |
| 13.მონპელიე | 6 | 1 | 3 | 2 | 6-11 | 6 |
| 14.კაენი | 6 | 2 | 0 | 4 | 6-14 | 6 |
| 15.მარსელი | 6 | 1 | 2 | 3 | 7-8 | 5 |
| 16.ნანტი | 6 | 1 | 2 | 3 | 2-6 | 5 |
| 17.ნანსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3-8 | 5 |
| 18.ლილი | 6 | 1 | 1 | 4 | 6-11 | 4 |
| 19.დიჟონი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-10 | 4 |
| 20.ლორიანი | 6 | 1 | 0 | 5 | 3-11 | 3 |

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ვადუცი-იანგ ბოიზი ... 0:0
ლუცერნი-სიონი ... 2:2
ლოზანა-ბაზელი ... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

რანდერსი-კოპენჰაგენი ... 2:2
ორხუსი-მიდტიულანდი ... 1:1
ჰორსენსი-ნორდსიელანდი ... 0:0

**შვედეთი. ალსვენსკა**

გეფლე-იონჩიპონგი ... 0:1
კალმარი-ფალკენბერგი ... 3:0
ჰელსინბორგი-სუნდსვალდი ... 2:1
ესტერსუნდი-ნორჩიოპინგი ... 0:2
დიურგარდენი-აიკი ... 0:3

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

კემი-ლახტი ... 2:4
ვაასა-სეინეიოკი ... 1:2
მარიეჰამნი-ინტერი ... 1:1
კუუპიო-ილვესი ... 1:2
ჰიკი-როვანიემი ... 2:1

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# საქართველოს თასზე სენსაციები გრძელდება

გაიმართა საქართველოს დავით ყიფიანის თასის მერვედფინალური მატჩები, რომლებიც საინტერესოდ და სენსაციურად დასრულდა.

საქართველოს თასი გერმანული მოდელით ტარდება – ერთმატჩიანია და მოედნის უპირატესობა დაბალი ლიგის წარმომადგენლებს აქვთ.

## ოდიში 1919 – ტორპედო 3:4

ზედა ეწერი. ცენტრალური

0:1 საღრიშვილი (1), 1:1 ცაგარეიშვილი (25), 1:2 დოლიძე (35), 2:2, 3:2 ცაგარეიშვილი (43, 62), 3:3 კვერნაძე (74), 3:4 ქიმაძე (84)

**ოდიში 1919:** მელნიჩენკო, აკობია, ღონღაძე, ხუბუა, გაგუნი, გაბედავა, დემიანოსი (გაბრიჭიძე 73), წულაია, ფარჯიკია, ქირია, ცაგარეიშვილი (ღიბრაძე 85)

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე, გურული, ჭიჭინაძე, ქიმაძე, მამასახლისი (კვერნაძე 69), ფალავანდიშვილი, დოლიძე, საღრიშვილი (ენდელაძე 88), ტუღუში (ბაბუნაშვილი 56) კაპანაძე

მართალია, თასის მერვედფინალში ტორპედოელებს პირველლიგელი ოდიში ერგო მეტოქედ, მაგრამ ამ გუნდთან, მით უფრო სტუმრად, იოლი გასეირნება რომ არ ექნებოდათ, თავიდანვე იყო ნათელი. ზუგდიდელებს საკმაოდ კარგი, მებრძოლი შემადგენლობა ჰყავთ და შემთხვევით არ იმყოფებიან პირველი ლიგის „წითელი ჯგუფის" ლიდერთა შორის.

მოლოდინმა გაამართლა და ტორპედოს მძიმე ბრძოლის გადატანა მოუხდა. თამაშს დაძაბულობა არ მოჰკლებია და ზუგდიდელებმა ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს სტუმრებს.

არადა, ამ მატჩის შესაძლო გადადებაზეც კი იყო საუბარი. საქმე ის გახლავთ, რომ ნალექის შედეგად მოედანი თითქმის სანახევროდ იყო დატბორილი და, თამაშის დაწყებამდე წვიმას რომ არ გადაეღო, ალბათ, აღარც შედგებოდა.

ალაგ-ალაგ გუბეებით დაფარულმა გაზონმა გვარიანად გაართულა ბურთაობა. სათამაშო წუნი ორივე მხრიდან, უმეტეს შემთხვევებში, სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული.

ტორპედოელები პირველივე შეტევის შემდეგ დაწინაურდნენ. გრიგოლ დოლიძის მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს გაბრიელ საღრიშვილმა თავი დაუხვედრა და ზუსტად გადაგზავნა კარში. მალევე ზუგდიდელები მეორე გოლს გადაურჩნენ, როდესაც იმავე საღრიშვილის მიერ კარის გასწვრივ სახიფათოდ გაგზავნილი ბურთი მცველმა გამოიტანა.

მართალია, ეპიზოდურად, მაგრამ მასპინძლებიც უტევდნენ და 25-ე წუთზე საჯარიმოს შიგნიდან გიორგი ცაგარეიშვილის დარტყმულმა უწია მიზანს – 1:1.

მორიგი საგოლე მომენტი ზუგდიდელთა კართან შეიქმნა. ბექა ტუღუშის კუთხურის შემდეგ დოლიძემ დაარტყა კარში – მელნიჩენკომ იყოჩაღა. დოლიძემ მაინც გაუტანა უკრაინელს. 35-ე წუთზე ტორპედოელმა მახვილი კუთხიდან საჯარიმო დარტყმით ახლო ზედა კუთხეში ჩაახვია ბურთი. თუმცა ზუგდიდელებმა ეს გოლიც გაქვითეს – შესვენებამდე 2 წუთით ადრე ცაგარეიშვილმა ზუსტად შეაგება თავი კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს.

მეორე ტაიმთან ერთად წვიმაც დაიწყო. თამაში უფრო გართულდა. 62-ე წუთზე ზუგდიდელები წინ გავიდნენ. ცაგარეიშვილს ვერავინ შეუშალა ხელი ჰეთ თრიკის შესრულებაში.

ტორპედოელები მარცხის საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ. კახა ჩხეტიანმა შემტევი პოტენციალის გასაძლიერებლად სათადარიგოებიდან მოედანზე ოთარ კვერნაძეს უხმო. მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებამ მალევე გაამართლა. ანგარიში სწორედ კვერნაძემ გაათანაბრა. ამ ეპიზოდამდე მელნიჩენკომ თორნიკე კაპანაძის და შოთა ბაბუნაშვილის დარტყმებისგან იხსნა საკუთარი კარი.



თამაშის დარჩენილ დროში სტუმრები დიდ უპირატესობას ფლობდნენ. მარტო 76-ე წუთზე მელნიჩენკომ ზედიზედ მოიგერია კაპანაძის, საღრიშვილის და კვერნაძის სახიფათო დარტყმები. სტუმართა დიდ ზეწოლას მეტოქეზე მეოთხე, გამარჯვების გოლი მოჰყვა. 84-ე წუთზე თავი გიორგი ქიმაძემ გამოიჩინა და ტორპედო თასის გათამაშების მეოთხედფინალში გავიდა.

## ბორჯომი – დინამო (თბ) 0:3

ივანწმინდა. ცენტრალური

0:1 ცინცაძე (68), 0:2 კიტეიშვილი (75), 0:3 ჯიღაური (90)

**ბორჯომი:** კიკნაძე, კობესაშვილი (ქარელი 76), თედიაშვილი, ხუმარაშვილი, ქარდავა, ჯოჯუა, ბურძენაძე, კიკნაველიძე, ფირცხალავა (ჯუფი 74), შენგელია, ციცხვაია (პავლიაშვილი 70)

**დინამო:** ლომაია, ლობჟანიძე, ამისულაშვილი, ჭელიძე, გ.თევზაძე, ცინცაძე, ჯიღაური, კიტეიშვილი (ლილუაშვილი 83), ჭანტურიშვილი, პაპუნაშვილი (პარუნაშვილი 77), დვალიშვილი (მიქელთაძე 78)

ივანწმინდაშიც მთელი მატჩის განმავლობაში წვიმდა, მაგრამ თამაშის გვიან დაწყება სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანის დაგვიანება გამოდგა.

დინამოელებმა მატჩის სადავეები თავიდანვე ხელში აიღეს და პირველივე წუთზე ჯაბა ჯიღაურის დარტყმული ხარიხამ უკუაგდო. მე-10 წუთზე ბორჯომის მცველებმა ცარიელი კარიდან გამოიტანეს ბურთი. მე-14 წუთზე უკვე ვლადიმერ დვალიშვილის თავით დარტყმულის შემდეგ ასცდა ბურთი ნომინალური მასპინძლის კარს. მატჩის 31-ე წუთზე დაახლოებით 25 მეტრიდან გიორგი თევზაძემ გაისროლა, ბურთი ისევ მცირედით ასცდა ბორჯომის კარს.

მეორე ტაიმი დინამოელებმა აქტიურად დაიწყეს. კიტეიშვილმა ითამაშა კარგად მარცხენა ფრთაზე, ბურთი დვალიშვილს გადააწოდა, რომლის დარტყმულსაც ძალა დააკლდა და მიზანს ვერ უწია. ცოტა ხანში ვახო ჭანტურიშვილმა ჩააწოდა, კიტეიშვილის დარტყმული ისევ არაზუსტია. აი, მომდევნო შეტევაში კი ბორჯომის ფეხბურთელებს შეეძლოთ შედეგიანი გარჯა, ბოლო წამს ალექსანდრე შენგელია ვერ გაერკვა სიტუაციაში. 58-ე წუთზე დვალიშვილს კიდევ ერთხელ მართებდა გატანა, ბურთი ზევიდან გადასცდა ბორჯომის კარს.

მატჩის 67-ე წუთზე გიორგი პაპუნაშვილი შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, რომელიც ბორჯომის მეკარემ აკრძალული ილეთით შეაჩერა. პენალტი ზუსტად მათე ცინცაძემ შეასრულა და დინამო დააწინაურა.

76-ე წუთზე თბილისელებმა გაზარდეს უპირატესობა – დვალიშვილის ზუსტი პასის შემდეგ კიტეიშვილმა ტექნიკური დარტყმით ლამაზი გოლი გაიტანა ბორჯომის კარში – 0:2.

საბოლოო ანგარიში მატჩის ბოლო წუთზე ჯაბა ჯიღაურმა დააფიქსირა, საგოლე პასი კი ჭანტურიშვილმა ჩაიწერა აქტივში.

## სულორი – გურია 3:1

ვანი. გრიგოლ ნიკოლეიშვილი

0:1 დინიზი (16), 1:1, 2:1 ჭრელაშვილი (29პ, 65), 3:1 ბრეგვაძე (87)

**სულორი:** ხურციძე, გვეტაძე (სამსეიშვილი 58), ბრეგვაძე, ხელაძე, ნიკოლაძე, კვასხვაძე (ჩხეტიანი 79), ჭანკვეტაძე, კილაძე, ივანიაძე, ჭრელაშვილი, ფირანიშვილი

**გურია:** იმერლიშვილი (ხვედელიძე 90), მეგრელიშვილი, ჭეიშვილი, ჩადუნელი, ზ.თევზაძე (კაბორე 64), ნოზაძე, კირკიტაძე, ჭეჭელაშვილი, ჭედია, დინიზი, იმნაძე (ფელიპე 75)

სულორი აღარ ხუმრობს – ვანელებმა ზედიზედ მე-3 ეტაპი გაიარეს და აქედან 2 უმაღლესლიგელი გამოთიშეს გათამაშებას.

არადა, თავიდან ლანჩხუთელები დაწინაურდნენ – გოლი მათი ლეგიონერის, დინიზის ანგარიშზეა, მაგრამ მასპინძლებმა ბოლომდე იბრძოლეს. ჭრელაშვილმა ჯერ 11 მეტრიდან დაარტყა ზუსტად, შემდეგ კი თავისიანები წინ გაიყვანა. საბოლოო წერტილი მატჩი ბრეგვაძემ დასვა.

## მერანი – დილა 1:1 (3:2პ)

მარტვილი. მურთაზ ხურცილავა

1:0 წყაროზია (51), 1:1 წიქარიძე (86)

**მერანი:** კუპატაძე, ციმაკურიძე, ორბელაძე, მელიავა, გეგია, გიორგაძე, ჩალაძე, წყაროზია, ტეიდი, შულაია (ქანთარია 90), საბანაძე (ჯიქია 85)

**დილა:** მუჯრიშვილი, გავაშელიშვილი (ცაწკრიალაშვილი 34), კვახაძე, ღონღაძე, დანკოვა, ეტოუ, სამხარაძე (ჩახვაშვილი 69), წიქარიძე, გამცემლიძე (ერისთავი 69), ნონიკაშვილი, მოდებაძე

გაძევება: **წყაროზია (101)**

სენსაციურად მოიგო მერანმაც. მარტვილელებს ურიგო შემადგენლობა არ ჰყავთ, მაგრამ დილა წყვილი ფავორიტად მიიჩნეოდა.

ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს – გოლი წყაროზიამ გაიტანა. გორელთა მთავარმა მწვრთნელმა უჩა სოსიაშვილმა წყვილ შეცვლას მიმართა, რამაც ბოლოსკენ გაამართლა და მატჩის მიწურულს ანგარიშიც გათანაბრდა.

დამატებით დროში მასპინძლები უმცირესობაში დარჩნენ და თითქოს ფავორიტსაც უნდა მოეგო, მაგრამ მერანმა გაუძლო გორელთა შეტევებს და პენალტების სერიაში იმარჯვა.

## ჩხერიმელა – სამტრედია 0:3

ხარაგაული. სოსო აბაშიძე

0:1, 0:2 არაბული (26, 40), 0:3 ზივზივაძე (84)

ჩხერიმელა: **გოგიაშვილი, გაბუნია, ვეკუა, ბერ**უაშვილი, ჭკუასელი (მღებრიშვილი 84), გ.ლობჟანიძე, შათირიშვილი (ჭყოიძე 84), მაჭავარიანი, ჩადუნელი, აშვეთია, აკა (სულაძე 68)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, გოგიაშვილი, მთივლიშვილი, სანდოხაძე (იმედაშვილი 60), შერგელაშვილი, დათუნაიშვილი, მარკოზაშვილი (ჯიქია 46), რაჟამაშვილი, მანჯგალაძე, არაბული (ცნობილაძე 69), ზივზივაძე

**გაძევება:** ვეკუა (29), მარკოზაშვილი (45)

სამტრედიამ იოლი და დაგეგმილი გამარჯვება მოიპოვა. ფავორიტი არაბულმა დააწინაურა, რომელმაც მალევე დუბლი შეასრულა. საბოლოო წერტილი კი ზივზივაძის იყო.

## სიონი – კოლხეთი (ფ) 0:1

ბოლნისი. თამაზ სტეფანია

0:1 რამალდანოვი (40)

**სიონი:** დაუშვილი, ფოფხაძე (სიხარულიძე 74), ხურცილავა, თოთაძე, ქასრაძე, ძარია, ჯანელიძე, გაფრინდაშვილი, სუშკინი (ლობჯანიძე 80), ვოლკოვი, კობახიძე

**კოლხეთი:** ძაგანია, რამალდანოვი, გედენიძე (ჟიშკარიანი 60), ჩაკვეტაძე, ქებურია, ბოლქვაძე, გოგონაია, ოზარკივი, ივანკო (კაკულია 72), კორობკა, ნიქაბაძე (კვარაცხელია 90)

კოლხები მიმდინარე სეზონში გაცილებით სერიოზულად მიუდგნენ საქმეს. ფოთელები ჩემპიონატშიც და თასზეც ყოჩაღობენ და მოკლე ხანში ბოლნისის სიონს ორჯერ მოუგეს სტუმრად.

გელა სანაიას გუნდიდან თავი ამჯერადაც აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა რამალდანოვმა გამოიჩინა.

## კოლხეთი (ხ) – ჩიხურა 1:3

ხობი. ცენტრალური

1:0 წურწუმია (15პ), 1:1 განუგრავა (33), 1:2, 1:3 ლობჟანიძე (63პ, 75)

**გაძევება:** კაკუბავა (36)

ახლოს იყო სენსაციასთან ხობის კოლხეთიც, რომელიც 15-ე წუთზე წურწუმიას პენალტით დაწინაურდა. მართალია, განუგრავამ ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ მალევე ჩიხურა მოედანზე კაცნაკლული დარჩა. თუმცა, ზემო იმერლებმა უმცირესობაშიც მოახერხეს მეტოქის დამარცხება.

## ლიახვი – ლოკომოტივი 0:3

გორი. თენგიზ ბურჯანაძე

0:1 დიასამიძე (21), 0:2 ცხადაძე (44), 0:3 ქიქავა (53)

ლიახვი წესით უმაღლეს ლიგაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლიცენზირება ვერ გაიარა და ქვედა ლიგაში დარჩა. ამიტომაც, მატჩი თითქოს უფრო დაძაბული უნდა ყოფილიყო, მაგრამ ლოკომოტივმა იოლად იმარჯვა.

## ასტროპროგნოზი

### 23 სექტემბრისთვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა, თუმცა ეს გარისკვის საბაბს მაინც არ გაძლევთ. ავანტიურაში ნუ ჩაერთვებით. **კურო** – თუ ფინანსურად ამის საშუალება გექნებათ, ქველმოქმედებით დაკავდით. ინტიმურ პრობლემებზე ზედმეტი კონცენტრირება საჭირო არ არის. **ტყუპები** – იყავით სამართლიანი და ყველა გადაწყვეტილება აქედან გამომდინარე მიიღეთ. მოსალოდნელია ძველი კავშირების აღდგენა. **კირჩხიბი** – ინდივიდუალურად იმუშავეთ. პირად ცხოვრებას დიდ ყურადღებას ნუ დაუთმობთ. საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა გაამართლებს. **ლომი** – პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღეთ. დაძაბული დღეა. მოსალოდნელია კონფლიქტი ხელმძღვანელობასთან. **ქალწული** – დაკავდით სპორტით, ივარჯიშეთ. კარგი იქნება, თუ ადამიანებს შეძლებისდაგვარად დაეხმარებით. **სასწორი** – პრობლემების მოგვარებაში მეგობრები დაგეხმარებიან, თუმცა მთავარი გადაწყვეტილების მიღება მაინც თქვენ გეკისრებათ. **ღრიანკალი** – იაქტიურეთ. ძალები გონივრულად გადაანაწილეთ. ზედმეტი ამბიციურობა გავნებთ. **მშვილდოსანი** – ეგოიზმი, სიძუნწე, სიჯიუტე დათრგუნეთ. გონიერება და თავშეკავება დღის დევიზია. **თხის რქა** – მოსალოდნელია კამათი ხელმძღვანელ პირებთან. კონფლიქტი საკადრო საკითხებს უკავშირდება. **მერწყული** – აქტიური დასვენება ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. შეგიძლიათ მოაწესრიგოთ მნიშვნელოვანი დოკუმენტები. **თევზები** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. შესაძლოა ჰონორარი მიიღოთ. სირთულეები დროებით უკან რჩება.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ფრანგული მინერალური წყალი; 2. დაკოდილი მამალი ცხვარი; 3. ლეო დელიბის მუსიკაზე შექმნილი ბალეტი; 4. ისტორიული ციხე-სიმაგრე ბათუმის მახლობლად; 5. რომაელი სახელმწიფო მოღვაწე, ორატორი; 6. საფრანგეთის ნაკრებისა და „იუვენტუსის" ფეხბურთელი; 7. გია დანელიას კინოკომედია; 9. პოლონელი კომპოზიტორი, პიანისტი; 13. ბრიტანეთის ნაწილი; 17. ტვირთბრუნვით იაპონიის ყველაზე დიდი ნავსადგური; 18. ქართული ჟურნალი.

**თარაზულად:** 1. მოლაპარაკე ფრინველი; 3. ჯეიმს ბონდის როლის შემსრულებელი ბრიტანელი მსახიობი მამაკაცი; 8. მხარე ავსტრიაში; 10. მაღალი მორალური ადამიანური თვისება; 11. გადატანითი მნიშვნელობით ნახმარი სიტყვა; 12. კახეთის კულტურულ-ადმინისტრაციული ცენტრი მე-10 საუკუნეში; 14. მისაღები თანხის წინასწარ გადახდილი ნაწილი; 15. სიმღერის შესრულება მუსიკალური თანხლების გარეშე; 16. ფინური ელექტროტექნიკური კომპანია; 19. ყველაზე დიდი ტბა ეგვიპტეში; 20. წვრილულიანი ღვინის სასმისი; 21. ცირკის არენა, მოედანი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომრებში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### 21 სექტემბერი, №224

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაშო; 2. მეოხი; 3. კოიოტი; 5. დიეტა; 6. ნომინალი; 8. ყარაჩოღელი; 10. ალფონსი; 12. ალგებრა; 14. პოლისი; 15. ტანინი; 16. „კიევო".

**თარაზულად:** 1. „ბოჰემა"; 4. ედისონი; 7. ჩხოუში; 9. ტონაჟი; 11. არქიელი; 12. ალკოჰოლი; 13. „ბოინგი"; 17. მიოპია; 18. ცეცე; 19. „არმანიაკი"; 20. ფიტოფაგი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. სერვანტესი; 2. კომუნა; 3. ფალანგა; 4. კრონა; 5. კონკლავი; 6. რანდი; 7. „თაკვერი"; 9. „მთიელი"; 13. პერტი; 17. რემა; 18. ფხა.

**თარაზულად:** 1. სირტაკი; 3. ფრანკი; 8. სონატა; 10. „მუსკატი"; 11. კანიო; 12. ბაზალტი; 14. სტილბი; 15. „ჩხავერი"; 16. ვერფი; 19. ხუტორი; 20. დივიზია; 21. მატანი.

### 22 სექტემბერი, №225

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. დაჩი; 2. შაშხი; 3. არიეტა; 5. ხიხვი; 6. ლანჩხუთი; 8. კომპრომისი; 10. ვივიენი; 12. ცენზორი; 14. ეგზემა; 15. მიმინო; 16. ფსოვი.

**თარაზულად:** 1. დეპეშა; 4. თხუნელა; 7. ბუშელი; 9. ტოშიბა; 11. ამფიბია; 12. ცუცხვათი; 13. ზიდანი; 17. შაგალი; 18. კიჩო; 19. ორნამენტი; 20. სილიკოზი.

# ჯემალ ღაღანიძემ წიგნი დაწერა



რუსთაველის თეატრის მსახიობმა ჯემალ ღაღანიძემ წიგნი დაწერა. „ჩემი რუსთაველის თეატრი – ჯემალ ღაღანიძე – ესა ვარ, რაცა ვარ!..“ – ასე ეწოდება წიგნ-ალბომს, რომლის პრეზენტაციაც 24 სექტემბერს რუსთაველის თეატრის სამეჯლისო დარბაზში გაიმართება.

# ქართულმა ყრუთა ანსამბლმა „ლილემ“ ესპანეთში გრანპრი მოიპოვა

ესპანეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ქართული ყრუთა ანსამბლი „ლილე“ გრანპრის მფლობელი გახდა.

ქალაქ ლორეტ დე მარში გამართულ კონკურსზე „მზე და ზღვა“ მსოფლიოს ათეულობით ქვეყნის სამუსიკო გუნდები მონაწილეობდნენ.

ქართველ ყრუთა ანსამბლმა ჟიურის ყველაზე დიდი ოვაცია და მოწონება დაიმსახურა. ფესტივალი, რომლის ორგანიზატორია ფიესტალონია მილენიო, ყოველწლიურად ტარდება.

ანსამბლი ესპანეთში თბილისის მერიის, კულტურის სამინისტროსა და არასამთავრობო ორგანიზაცია „ქალთა თანადგომის“ ფინანსური მხარდაჭერით გაემგზავრა.

გამარჯვებულები საქართველოში 23 სექტემბერს დაბრუნდებიან. მათი თვითმფრინავი თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გვიან ღამით დაეშვება.



# ანრი ჯოხაძე სპონსორებმა გადააგდეს

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ ქართულ ესტრადაზე მოღვაწეობის არაერთი წლის შემდეგ პირველი სოლოკონცერტი მხოლოდ წელს ჩაატარა.

დიდი სანახაობა მან ბათუმში დაგეგმა, რომელსაც 4 ათასამდე მსმენელი დაესწრო. ანრი კონცერტისთვის განსაკუთრებულად მოემზადა და ყველა დეტალი მაქსიმალური სიზუსტით დაგეგმა, თუმცა სპონსორებმა, რომლებმაც მას თანადგომა აღუთქვეს, ბოლო წუთებში უღალატეს და ფინანსურ დახმარებაზე უარი შეუთვალეს.

ანრი იძულებული გახდა, ფინანსები სხვაგან მოეძებნა და საკუთარი ბინა ბანკში ჩაედო. საბედნიეროდ, ანრიმ ბინის დახსნა მოახერხა და უსახლკაროდ დარჩენას გადაურჩა. კონცერტმა ანშლაგით ჩაიარა.

ანრის კონცერტზე ასეთმა მაღალმა მოთხოვნამ მომღერალს გადააწყვეტინა, სოლოკონცერტი თბილისშიც ჩაატაროს. სავარაუდოდ, ანრი ჯოხაძე თბილისელ მსმენელს დეკემბერში უმღერებს.



# „საქართველოს სინფონიეტა“ გერმანიაში მიიწვიეს

თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრი „საქართველოს სინფონიეტა“ გერმანიაში მიიწვიეს. 24 და 25 სექტემბერს მუსიკოსები კონცერტებს გერმანიის ორ სხვადასხვა ქალაქში, ზეონსა და მიუნხენში გამართავენ.



24 სექტემბერს „საქართველოს სინფონიეტა“ ზეონის საბატოს საფესტივალო დარბაზში ბახის, ჰენდელის, ვივალდის, რამოს, ელგარის, გრიგის, ჩაიკოვსკისა და ცინცაძის ნაწარმოებებს შეასრულებს.

25 სექტემბერს ქალაქ მიუნჰენის კულტურის სახლში ბაროკოს ეპოქის მუსიკა შესრულდება.

კონცერტების დირიჟორი კორნელია ფონ კერსენბროკია, სოლისტი და კონცერტების თანაორგანიზატორი – ჰობოისტი გიორგი ქობულაშვილი.

# ნუკი კოშკელიშვილს მეუღლემ ყვითელი ბრილიანტები აჩუქა



მოდელსა და ტელეწამყვან ნუკი კოშკელიშვილს ამერიკელმა მეუღლემ ყვითელი ბრილიანტებით დამშვენებული ბეჭედი აჩუქა. ბეჭდის ფოტო ნუკიმ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა და თავისი ბედნიერების შესახებ ყველას შეატყობინა:

– ასეთი დილა გამითენდა. ყვითელი ბრილიანტები!!!!! და ბრილიანტი ქმარი!!!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# მანჩესტერი რეშფორდს ახალ კონტრაქტს სთავაზობს და მადრიდისკენ იხედება

სპორტი

ინგლისური მედიის ინფორმაციით, მანჩესტერ იუნაიტედი მარკუს რეშფორდს, რომელიც უკვე იქცა კლუბის ერთ-ერთ ყველაზე იმედისმომცემ ფეხბურთელად, ახალ კონტრაქტს შესთავაზებს.

18 წლის ფეხბურთელმა მაისში კონტრაქტი 2020 წლამდე გაახანგრძლივა, რის მიხედვითაც კვირაში 20.000 გირვანქა სტერლინგს გამოიმუშავებს. რეშფორდით რამდენიმე კლუბი უკვე ინტერესდება, ამიტომ ინგლისური კლუბის ხელმძღვანელობა უფრთხის იმ შემთხვევის განმეორებას, რომელიც პოლ პოგბასთან დაკავშირებით მოხდა.

კლუბის ხელმძღვანელობა ინგლისელს 5 წლიან კონტრაქტს შესთავაზებს გაცილებით მაღალი ანაზღაურებით.

პრემიერ ლიგის მიმდინარე სეზონში მარკუს რეშფორდმა 3 მატჩი ჩაატარა და 2 გოლის გატანა მოახერხა.

მანჩესტერელთა თავკაცი ჟოზე მოურინიო იუნაიტედის გაძლიერებას მადრიდის რეალის ნახევარმცველ ისკოთი გეგმავს. „წითელი ეშმაკები“ ესპანელის შეძენას ზამთრის სატრანსფერო ფანჯარაზე შეეცდებიან.

მოურინიომ გასულ სატრანსფერო ფანჯარაზე 150 მილიონი გირვანქა დახარჯა და გუნდი 4 ახალწვეულით გააძლიერა.

ისკომ კი, ზიდანის ნდობის მოპოვება ჯერ კიდევ ვერ მოახერხა. მიმდინარე სეზონში 24 წლის ფეხბურთელმა მხოლოდ 3 მატჩში მიიღო მონაწილეობა და სულ 111 წუთი დაჰყო მოედანზე.

მოურინიოს რუნის სათადარიგოთა სკამზე გამწესება აქვს გადაწყვეტილი, რაც ისკოს შეძენის კარგი მიზეზია.

ესპანელ ფეხბურთელს „სამეფო კლუბთან“ მიმდინარე კონტრაქტი 2018 წლამდე აკავშირებს.

მოურინიომ მადრიდელთა კიდევ ერთ ფეხბურთელს დაადგა თვალი, ამჯერად – ატლეტიკოსას. ის ურუგვაელი მცველი, ხოსე მარია ხიმენესია.

ურუგვაელი ცენტრალური მცველი მადრიდულ გრანდს 2013 წელს შეუერთდა და მაშინვე იქცა „ატლეტიკოს“ ძირითადი გუნდის მცველად, სადაც მისი პარტნიორი მისივე თანამემამულე დიეგო გოდინია.

სეზონის სტარტზე მოურინიოს პირველადი არჩევანი დაცვის ცენტრალურ რგოლში ბაი-ბლინდის დუეტი იყო, მაგრამ ჰოლანდიელმა ვერ გაამართლა მასზე გაცემული ავანსები. ჟოზეს აზრით, 21 წლის ხიმენესი იდეალურად გაუგებს ერიკ ბაის და ძლიერ დუეტს ჩამოაყალიბებს დაცვის ცენტრში.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**





# ვინსან კომპანიმ ისევ ტრავმა მიიღო

მანჩესტერ სიტის ბელგიელმა ცენტრალურმა მცველმა ვინსან კომპანიმ ისევ ტრავმა მიიღო. კომპანიმ გასული სეზონის დიდი ნაწილი სწორედ ტრავმის გამო გამოტოვა. ტრავმები მას ქრონიკულად აწუხებს. ამჯერად ბელგიელი მცველისთვის უიღბლო სუონსის წინააღმდეგ შეხვედრა გამოდგა, რომელიც მისმა გუნდმა 2:1 მოიგო.

კომპანიმ მოედანი მეორე ტაიმში დატოვა და ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა.

სიტის მთავარმა მწვრთნელმა ხოსეპ გვარდიოლამ განაცხადა, რომ კომპანი მისი გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფეხბურთელია და მას სწრაფი გამოჯანმრთელება უსურვა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები

ნანა ჩილოელიძე სამძიმარს უცხადებს გულო და ნუნუ წიკლაურებს დისშვილის

**მალხაზ ჯღუნიაშვილის**

გარდაცვალების გამო.

## შალვა, ოთარ, კახაბერ დვალების გახსენება







გაშორდით წუთისოფელს შალვა 18 წლის, ოთარი 85 წლის, კახაბერი 48 წლის. დატოვეთ ქალი დედა, ქალი მეუღლე, ამაყი, ბედნიერი, მხიარული, გულგაშლილი, ხელგაშლილი ნებიერი ქმარ-შვილით. ახლა უბედური უქმარშვილოდ 20 წელი უბედნიერესი, 29 წელი უბედურზე უბედური, შეუფასებელი, რომელზედაც ენა არ მობრუნდება, კალამი ვერ დაწერს.

კარგები ჩემთან და ჩემით ვიყავით...

ვისთან დამტოვეთ? რატომ დამტოვეთ? ვის დავჭირდები? იქნებ თქვენს ნაშიერმონაგარს? მერე, სად არიან? თქვენთან მინდა. მე არ მავიწყდებით. თქვენ რატომ დაგავიწყდით? მონატრება და სიყვარული ვერ გასწავლეთ, ალბათ. არაფერს გაწყენინებთ, უკვე დიდები ხართ, მოწიფულები.

მეტი ნეკროლოგი აღარ დამჭირდება, ალბათ.

დავამძიმე ეს ქვეყანა. თქვენთან მინდა, წამიყვანეთ.

შალვა, გილოცავ 48 წლის შესრულებას!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# პროგრამა

## პარასკევი 23 სექტემბერი

06.10, 14.10 ტ/სერ. "ადვოკატები" 07.10 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ყველაზე ჭუჭყიანი ადამიანი მსოფლიოში" 08.00, 10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 08.10 ან/სერ "მადაგასკარის პინგვინები" 08.40 "ტელემანი" 09.00 "დილის მოამბე" 10.10 "პირადი ექიმი" 11.00, 19.00 ტ/სერ. "ცბიერი მოახლეები" 12.20 მხ/ფ "მისტერ პიტკინი მტრის ზურგში" (კომედია. რეჟ. ნ.უისდომი) 14.50 დოკ/სერ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 15.35 "ეკიპაჟი" 16.30 "ეკონომეტრი" 17.00 დოკ/სერ " ცნობისმოყვარეობა. ვულკანი" აფეთქების დროა" 20.00 მოამბის სტუმარი 21.30 სოციალური თოქ-შოუ 23.40 გადაცემა "x სტუდია" 00.40 მხ/ფ "ხალხის მტრები" (ჯ.დეპი) 03.10 დოკ/სერ "ცნობისმოყვარეობა. ვულკანი" აფეთქების დროა"

08.00 დ/ფ "ჯანმრთელობა ევროპაში" 09.00 დ/ფ "როგორ არის მოწყობილი სამყარო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 მხ/ფ "სიყვარულის ტესტი" 12.00 ტ/სერ "ცოდვა და სირცხვილი" 13.00 ტ/სერ "ჩენტო ვეტრინე" 14.00 "ბრიფინგის დრო" 17.00 დ/ფ "კიდევ სცადე" 18.00, 21.00 "არჩევნები 2016" 20.00 "მოამბე" 22.00, 01.00 ტ/სერ "ზღვარს მიღმა" 23.00 "მოამბე" (3 ენაზე) 00.30 "ნამდვილი დრო"

05.30 სერ. "ბამბის ველი" 06.30, 16.00 სერ. "თანხმობა" 07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30 ქრონიკა 07.35, 08.15, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "ერთი სიყვარულის ამბავი" 11.20 სერ. "სიყვარულის ჟამი" 12.30 დღის შოუ 14.40 სერ. "ფიცი" 17.35, 19.03 სერ. "პატარძალი" 20.55 სერ. "შავი ვარდი" 22.00 პოლიტიკური თოქ შოუ 23.30 სერ. "ჰეროკრატია (9+1)" 8 სერ. 00.30 მხ/ფ "კოლუმბიანა" 02.45 მხ/ფ "ჟიგოლოს ნიღბის ქვეშ"

06.00 სერ. "დაკარგული ბავშვობა" 06.45 სერ. "გაბრიელა" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "დინასტია" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "დედოფლის სევდა" 15.55 სერ. "ინდური საგა" 16.55 სერ. "ცხოვრების გზები" 18.50 სერ. "შენი ზოდიაქოს ფერი" 19.55, 20.05 სერ. "დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 სერ. "ჩემი ცოლის დაქალები" 4 (სეზ.10) განსხვავებული აქცენტები 00.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერის დაიჯესტი

8.00 ან/სერ. "ვარსკვლავური ომები" 9.00, 19.30 სერ. "მენტალისტი" 10.00, 18.30 სერ. "კარგი ცოლი" 11.00 სერ. "გრეის ანატომია" 12.00 59 წამი 13.30, 1.25 სერ. "ძვლები" 14.30 ცოლები და ქმრები 15.00 გვიანი შუადღე 17.00 სერ. "ახალი გოგო" 18.00 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 20.20 არჩევნები 2012 დაიჯესტი 20.30 20.30 22.30 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 23.30 მხ/ფ "წვეულება ვეგასში 1" 2.15 ჯიდიპედია

06.15 კვირიაკე 07.20 დ/ფ "საუკუნის პორტრეტები-ავთო ვარაზი" 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 მოკ. მხ/ფ "ალავერდობა" 12.10 პორტრეტები 13.15 ერთხელ ბავშვობაში 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.30 დეკორატიული ფლორა "კრასულა ოვატა-ბარაქის ხე" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართული ანიმაციური ფილმი 15.30 ღვთის სახლი 15.45 კონცერტი 16.10 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 16.40 მიწათმოქმედი "ხორბალი ლომთაგორაზე" 17.00 ჩვენი საგანძური 17.40 ამბიონი-საცეცხლურით ჯვრის გადასახვა 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ "დათა თუთაშხია" VI ს. 20.40 ძილი ნებისა "სამი მტევანი ყურძენი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "ქვეყანა შუამთისა" IV ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები 00.35 მგზავრები წუთისოფლისა "კასპის რაიონი-სოფ. მეტეხი" 01.00 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო 7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 0.30 "კონტაქტი" 7.30 ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 8.00 სერ. "ტატიანა" 10.05 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო" 11.05 სერ. "ვერონიკა" 12.00 "კონტაქტი თორმეტზე" 12.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 13.00, 14.05 სერ. "გულს ვერ უბრძანებ" 15.00 "კონტაქტი სამზე" 15.30 სერ. "სიყვარულის იმპერია" 16.05, 17.05 სერ. "კარმელიტა ბოშური ვნება" 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 18.35 სერ. "უკანასკნელი მაგიკიანი" 19.05 სერ. "ცენტრალური საავადმყოფო" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.55 სერ. "გემი"თრილერი" 21.40 "მაესტროს ფაქტორი" 23.10 სერ. "ესკობარი" 1.00 მხ/ფ "არნი-რაინდი ტამპლიერი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 სექტემბრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | — 2.3195 |
| ევრო | — 2.5858 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | — 3.0144 |
| 100 რუსული რუბლი | — 3.6013 |

## ამინდის პროგნოზი 23 სექტემბრისთვის





## 23 სექტემბრიდან



ილია ჭავჭავაძე
**კაცია-ადამიანი?!**

ფართოფორმატიანი, მაღალპოლიგრაფიული, დასურათებული გამოცემა

**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**




## იუმორი

მილიონერი მზარეულს უხმობს თავისთან დაეუბნება:

– ხვალ ჩემი სიდედრი ჩამოდის სტუმრად.

– მესმის, ბატონო.

– აი ეს სია გამომართვი, აქ მისი საყვარელი კერძებია ჩამოთვლილი და ერთი მათგანიც რომ მოამზადო, სამსახურს დაემშვიდობე...

•••

ქვეყნის მეთაური ეკონომიკის მინისტრს ეკითხება:

– რა სიახლეებია?

– ორი, ცუდი და კარგი.

– ცუდით დაიწყე.

– ეკონომიკა საშინელ მდგომარეობაშია, ყველა მაჩვენებელი უარესდება, გაკოტრება, პენს...

– კარგი, კარგი, საკმარისია! კარგი რა არის?

– ეკონომიკის ეს მდგომარეობა წარმოუდგენლად სტაბილურია.

•••

ერთი რუსი ყვირის:

– ვაშაა! როგორც იქნა, ასრულდა! მადლობა, ღმერთო!

მეორე ეკითხება:

– რა მოხდა?

– ვანუატუსთან სავიზო რეჟიმი გაუქმდა!

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ მირჩევ, სად შეიძლება ფულის ჩადება?

– ჩემი ჯიბე ყოველთვის შენს განკარგულებაში იგულე.

•••

მაღაზიაში უკმაყოფილო მამაკაცი გამყიდველს მიმართავს:

– ეს რანაირად გაყინული თევზია? თითქმის ნახევარი წყალია.

– მასე არაყში 60 პროცენტი წყალია, მაგრამ, არა მგონია, ამის გამო უკმაყოფილებას გამოთქვამდეთ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 22 სექტემბრიდან

**საქართველოს გეოგრაფიული ატლასი**




**ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი**

## 20 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი
**ტომი I**

წიგნი საკმაოდ სქელტანიანია, 560გვ. მასში შესულია მწერლის თითქმის ყველა მოთხრობა და რამდენიმე წერილი.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 27 სექტემბრიდან

ედიშერ ყიფიანი
**ტომი II**

II ტომში შესულია მწერლის ორი რომანი: „წითელი ღრუბლები“ და „ცაში ასროლილი ქუდები“.

რომანებმა გამოქვეყნებისთანავე მკითხველის მოწონება დაიმსახურა და ავტორს დიდი პოპულარობა მოუტანა.




**ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი**

## 29 სექტემბრიდან




ჩემი პირველი სიტყვები
**სკოლა**

გასართობ-შემეცნებითი ფერადი წიგნი პატარებისთვის

წიგნში 100-ზე მეტი სიტყვაა მოცემული. თამაშის საშუალებით და ფერების შერჩევით პატარებისთვის ნაცნობი ნივთების ამოცნობა და დასახელება ძალიან ადვილი და სახალისოა.

**ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი**


## ინტერში დიეგო სიმეონეს მიწვევას აპირებენ



მილანის ინტერის ხელმძღვანელობა არგენტინელი სპეციალისტის დიეგო სიმეონეს მიწვევას აპირებს, თუმცა ეს რამდენიმე წლის შემდეგ, უფრო ზუსტად კი 2018 წელს მოხდება.

2018 წელს სიმეონეს მადრიდის ატლეტიკოსთან კონტრაქტი უმთავრდება და ერთ-ერთ ინტერვიუში მან ინტერში მუშაობის სურვილი გამოთქვა, ამიტომ მისი იტალიაში გადაბარგება საკმაოდ რეალურია.

დიეგო სიმეონეს მომავალში დასაქმების სხვა ვარიანტიც აქვს და, შესაძლოა, ის არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს. ამ თემაზე სიმეონე არ საუბრობს, მაგრამ არგენტინის საფეხბურთო ფედერაციას მისი ნაკრებში მიყვანა მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი.

## ბასილაშვილმა მეცის ტურნირში მარცხი განიცადა

ქართველ ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილისთვის მეცში მიმდინარე ატპ-ის ტურნირი დასრულდა. ბასილაშვილმა მერვედფინალში გასვლა მოახერხა, სადაც მისი მეტოქე ლუქსემბურგელი ჩოგბურთელი ჟილ მიულერი იყო, რომელიც რეიტინგში 37-ე ადგილს იკავებს.

მიულერს ჩვენებურის დამარცხება არ გასჭირვებია და მან ეს ორ სეტში გააკეთა 6:2, 6:4. მიუხედავად მარცხისა, ბასილაშვილი მაღლა აიწევს რეიტინგში, სადაც ის ამჟამად 106-ე პოზიციას იკავებს.

წლევანდელი სეზონი ნიკასთვის არცთუ წარმატებულია, თუმცა მან მოახერხა კარიერაში პირველად ატპ-ის ტურნირზე ფინალში გასვლა, სადაც მარცხი განიცადა.

## ლიონელ მესი 3 კვირას გამოტოვებს



ბარსელონის ლიდერმა ლიონელ მესიმ მადრიდის ატლეტიკოსთან შეხვედრის დროს ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

როგორც გაირკვა, მესი დაახლოებით სამ კვირას გამოტოვებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის თავის გუნდს უახლოეს რამდენიმე შეხვედრაში ვერ დაეხმარება.

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ლუის ენრიკემ განაცხადა, რომ მესის ტრავმა მისი გუნდისთვის უდიდესი დანაკლისია, მაგრამ ბარსელონას ბევრი ძლიერი ფეხბურთელი ჰყავს და ისინი მესის გარეშეც მოახერხებენ ფონს გასვლას.

შემდეგ შეხვედრას ლუის ენრიკეს გუნდი სტუმრად ხიხონის სპორტინგის წინააღმდეგ ჩაატარებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი

**შვეულად**: 1. ქვით ნაგები ღობე; 2. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 3. მარჯვე, ეფექტური ილეთი; 5. უკრაინული სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 6. ჭარხლიდან შაქრის მისაღები აპარატი; 8. ბალნეოლოგიური კურორტი უკრაინაში; 10. ყურის ექიმი; 12. ორადგილიანი ველოსიპედი; 14. ზემო იმერეთის ისტორიული სახელწოდება; 15. პენალტი ჰოკეიში; 16. მოკლემეტრაჟიანი კინოკომედია იპოლიტე ხვიჩიას მონაწილეობით.

**თარაზულად**: 1. წითელი ფერის მინდვრის ყვავილი; 4. რამდენიმე ხუთხაზიანი სანოტო სისტემის შემაერთებელი ფრჩხილი მუსიკაში; 7. თაღლითი ბანქოს თამაშში; 9. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი; 11. რაიმე ნივთის მეორე ცალი მუზეუმში, კოლექციაში; 12. ყურძნის ხეივანი; 13. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 17. ავსტრალიური თუთიყუში; 18. ქართული ხალხური თამაში სპეციალური ბურთით; 19. მე-17 საუკუნის უკრაინელი მხედართმთავარი, ჰეტმანი; 20. სამთო-საინჟინრო საქმეში გამოყენებული ფეთქებადი ნაერთი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*





ლურჯი წითელი ყვითელი შავი